კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი

გიორგი ბიჭაშვილი

საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში და მათი როლი რეგიონული პრობლემატიკის გადაჭრის საკითხებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მაია კაპანაძე

თბილისი - 2020

ანოტაცია

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის ფორმირების შემდეგ, რეგიონის ქვეყნები ირანი, თურქეთი, ეგვიპტე, ერაყი, ტრანსიორდანია, ლიბანი და სირია გაერთიანდნენ საერთაშორისო ორგანიზაცია ერთა ლიგაში. ერთა ლიგის გაეროდ ჩანაცვლების შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა დროთა განმავლობაში გაეროს წევრი გახდა. იყო შემთხვევები, როდესაც გაეროში შესვლისთვის ქვეყანას გარკვეული პრობლემები ექმნებოდა, მაგრამ ამ პრობლემების მიუხედავად რეგიონის ყველა ქვეყანა გაეროს წევრია. ფაქტია, რომ გაერო ერევა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში, აფიქსირებს თავის პოზიციებს და ა.შ. განსაკუთრებით რეაგირებს გაერო ახლო აღმოსავლეთში არსებულ კონფლიქტებზე. გარდა ამისა თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა ახლო აღმოსავლეთში, რომელიც 1952 წელს ნატოს წევრი გახდა და უფრო მეტიც ეს ქვეყანა ორგანიზაციის დამფუძნებელ ქვეყანათა რიგშია. თურქეთის ნატოში გაწევრიანების მიზეზი იყო ის, რომ იგი საბჭოთა კავშირის მეზობელი ქვეყანაა. შესაბამისად თურქეთი აქტიურადა ჩართული 1952 წლიდან დღემდე ნატოს მიერ განხორციელებულ ყველა ოპერაციაში.

რეგიონში წარმოდგენილია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულად რეგიონისა თუ ქვერეგიონის ქვეყნებისთვისაა შექმნილი ან მთლიანად ისლამურ სამყაროს აერთიანებენ. ამ ორგანიზაციებიდან პირველ რიგში აღსაღნიშნავია არაბული ქვეყნების ლიგა, რომელშიც ყველა, მათ შორის რეგიონში არსებული არაბული ქვეყნებია გაერთიანებული.

აღსაღნიშნია სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოც, რომელიც კონკრეტულად სპარსეთის ყურის ყველა ქვეყანას აერთიანებს ირანის გარდა. აღნიშნული ორგანიზაცია დღემდე აქტიურად ერევა სპარსეთის ყურის ქვეყნების საშინაო საქმეებში. ამასთანავე რეგიონში აქტიურადაა წარმოდგენილი ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია და მუსლიმთა მსოფლიო ლიგა. აღნიშნული ორგანიზაციები, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ისლამურ ქვეყნებს აერთიანებენ და

მათი მიზანი სხვადასხვაა. ისინი მეტნაკლებად არიან ჩართულები ისლამური სამყაროს ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების მოგვარებაში.

რეგიონში არსებული სამი ორგანიზაციიდან, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, განსაკუთრებით აქტიურია ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც თავისი ქმედითუნარიანობით ბევრად გამოირჩევა ისლამური სამყაროს სხვა ორგანიზაციებისგან.

Anotation

Giorgi Bichashvili

International Organizations in the Middle East and Their Role in Resolving Regional Issues

After formation of the political map of the Middle East, countries in this region: Iran, Turkey, Egypt, Iraq, Transjordan, Lebanon and Syria became member of international organization of Nations League. After the replacement of the League of Nations with the United Nations, all the countries of the Middle East became in the Middle East. In addition, Turkey is the only country in the Middle East that became a member of NATO in 1952, and moreover, it is one of the founding members of the organization. The reason for Turkey's accession to NATO was that it is a neighboring country of the Soviet Union. Thus, Turkey members of the United Nations over time. There have been precedents when the country had some problems becoming the member of the UN, however, all countries in the region are members of the UN. It is obvious that United Nations is interfering in the affairs of the Middle East, The UN is particularly active in the conflicts has been actively involved in all operations carried out by NATO since 1952.

There are international organizations in the region that are specifically designed for the countries of the region or sub-region or integrate the entire Islamic world. Among these organizations, the League of Arab States is the first to be mentioned, in which all, including the Arab countries in the region, are united.

Also noteworthy is the Gulf Cooperation Council, which specifically includes all countries in the Persian Gulf excluding Iran. This organization is still actively involved in the internal affairs of the Gulf states. In addition, the Organization of Islamic Cooperation, the

Organization of the Islamic Conference and the League of the Islamic World are actively represented in the region. These organizations, as the name implies, unite Islamic countries and have different intensions. They are more or less involved in solving the problems between the countries of the Islamic world.

Of the three organizations in the region which we have already mentioned above, the Organization of Islamic Cooperation is particularly active, with its effectiveness being very different from other organizations in the Islamic world.

სარჩევი

ანოტაცია….....2

Anotation.....4

შესავალი……8

თავი I. რეგიონისგარეთა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

1.1.ერთა ლიგის ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაში……..……...…… 14

1.2.გაერო-რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისა და კონფრონტაციების თავიდანასაცილებლად……..……18

1.3. ევროკავშირის აქტივობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში და მისი ეკონომიკური ინტერესები რეგიონში……..24

თავი II. საერთაშორისო და რეგიონული, სამხედრო- პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების გავლენა რეგიონების ქვეყნების უსაფრთხოებაზე

2.1. „ბაღდადის პაქტი“ და „სენტო“ კოლექტიური დაცვის გარანტი……..…..30

2.2. აზიური საწყისების ქვეყანა თურქეთი-ნატოს ერთ-ერთი აქტიური წევრი……36

2.3. ოპეკი-ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანება და ახლო აღმოსავლეთი…….42

თავი III. არაბული ქვეყნებისა და ისლამური სამყაროს საერთაშორისო ორგანიაზციები და მათი პოლიტიკური ინტერსები რეგიონში

3.1. არაბული სახელმწიფოების ლიგა და ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო, როგორც რეგიონული ძალები……..48

3.2. „მუსლიმთა მსოფლიო ლიგა“- ისლამური ერთობისა და ისლამური სოლიდარობისთვის ახლო აღმოსავლეთში……..……53
3.3. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია „ითო“ და „იკო“, მათი გამოწვევები თანამედროვე რეგიონულ პრობლემებში……58
დასკვნა……64
გამოყენებული ლიტერატურა……69

შესავალი

თემის აქტუალობა - საერთაშორისო ორგანიზაციების როლი სულ უფრო იზრდება ახალი გამოწვევების ფონზე. საერთაშრისო ორგანიზაციების დაარსების დღიდან ისინი უდიდეს როლს თამაშობენ მსოფლიო პოლიტიკაში. გამონაკლისს არც ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენს, სადაც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, რეგიონში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ისლამური სამყაროს ლიგა, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო და ა.შ. გარდა ამისა არის ისეთი სპეციფიკური ორგანიზაცია როგორიცაა „ოპეკი", რომელიც ცდება რეგიონული ორგანიზაციის ფარგლებს. ახლო აღმოსავლეთში წამოდგენილი საერთაშრისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონფლიქტების დარეგულირების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა კუთხით, რაც საკმაოდ აქტუალურს ხდის მათ არსებობას ახლო ახმოსავლეთის რეგიოში. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციები როლის და ფინქციის წარმოჩენა ახლო აღმოსავლეთში.

ჩვენი თემის აქტუალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გავაანალიზეთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მოქმედებები, რასაც ისინი ასრულებენ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კონფლიქტების დარეგულირებისა და მოგვარების დროს.

საკვლევი კითხვები

- ✓ რა როლს თამაშობენ ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ორგანიზაციები რეგიონალი უსაფრთხოების კონტექსტში?

- ✓ რა გავლენას ახდენენ მუსლიმური რეგიონული ორგანიზაციები იდეოლოგიური კუთხით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკაზე?
- ✓ რა როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით?
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებს რამდენად შეუძლიათ ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების დარეგულირება?

თემის ჰიპოთეზა

ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტების დარეგულირების საქმეში საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები, რომელთაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა გააჩნიათ. ახლო აღმოსავლეთის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთაშორისო ორგანიზაციები თუ უფრო ეფექტურ ზომებს არ გამოიმუშავებენ კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, მაშინ შეიძლება ითქვას ისინი ვერ შეძლებენ მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანას რეგიონული პრობლემატიკის გადაჭრის საკითხებში.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია ახლო აღმოსავლეთში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების როლი რეგიონის უსაფრთხოებაში.

კვლევის ობიექტია საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაში.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გარდა გაეროსა და ნატოს მნიშველობისა, გაგვერკვია თუ რა როლი და ადგილი აქვს ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ძირითადად ისლამური სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. ასევე ჩვენთვის საინტერესო იყო ისეთი საკითხების წინა პლანზე

წამოწევა, როგორიცაა ის თუ რა როლს ასრულებენ ეს ორგანიზაციები, როგორც რეგიონალური პრობლემების გადაჭრაში ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების გაღრმავებაში. რადგანაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონი სამი ძირითადი მონოთეისტური რელიგიის სამშობლოა აქედან გამომდინარე ამ ორგანიზაციებს თავიანთი გამოკვეთილი სტრატეგია გააჩნიათ რელიგიურ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, რომელიც ხშირად პოლიტიკით იფუთება.

საკვლევი თემიდან გამომდინარე დასახულ ამოცანებში სხვადასხვა ენაზე არსებული მასალების გაანალიზებისა და შესწავლის მეშვეობით წარმოვაჩინეთ საერთაშოსორისო ორგანიზაციების მიდგომები კონფლიქტების დარეგულირების საკითხში და ასევე გავლენის სფეროების სიღრმისეული ანალიზი

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

აღნიშნულ კვლევაში გამოვიყენეთ პოლიტიკური რეალიზმის სკოლის „ძალთა ბალასნის“ თეორია, რომელმაც საშუალება მოგვცა უკეთესად გაგვეანალიზებინა არსებული კონფლიქტების არსი და მისი შესაძლო მოგვარების პერსპექტივები.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია „უსაფრთხოების დილემა“ და კონფლიქტის მაგალითები.

ასევე გამოვიყენეთ „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია“ - კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია დაეფუძნა ემპირიული კვლევის მეთოდებს, რამაც საშუალება მოგვცა ძირეულად შეგვესწავლა ის თეორიული ბაზა, რაც თემის ირგვლივ არსებობდა. ასევე გამოვიყენეთ ინტერდისციპლინარული და ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი, რომელმაც ვფიქრობთ გააუმჯობესა ნაშრომის ხარისხი და მოგვცა შედეგზე ორიენტირების მეტი შესაძლებლობა. თემის

დამუშავებისას აგრეთვე გამოვიყენეთ ნარატიული ანალიზი და ემპირიული კვლევის ერთ-ერთი იარაღი-ლოგიკა, ასევე გამოყენებულია კონტენტ ანალიზი და პოლიტიკის კვლევის ანალიზი.

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენ ვეცადეთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვექმნა აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებს.

შესაძლებელია აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სემინარების და ლექციების ჩატარების დროს, ასევე უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც, რათა ისლამური სამყაროს ორგანიზაციების პოლიტიკური და რელიგიური პრობლემების შემსწავლელ ახალგაზრდა მკვლევარებს საშუალება მიეცეთ გამოიყენონ თავიანთი ცოდნის გაღრმავებისთვის.

კვლევის შედეგების განხილვა

ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია არა მარტო გაეროსა და ნატოზე და ნაწილობრივ ევროკავშირზე, არამედ კონკრეტულად იმ ორგანიზაციების საქმიანობასა და როლზე, რომლებიც ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ისეთი ორგანიზაციების საქმიანობისა და იდეოლოგიების შესწავლასა და გაანალიზებას, რომლებიც აქტიურ პოლიტიკურ როლს ასრულებენ არამცთუ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არამედ მთელ ისლამურ სამყაროში და განსაზღვრავენ ამ სამყაროს პოლიტიკურ და რელიგიურ ხედვებს.

აქედან გამომდინარე ჩვენს კვლევაში სიღრმისეულად გვაქვს განხილული „ითოს“, „იკოს“, „ისლის“ და ა.შ. ორგანიზაციების ტიპოლოგია და მათი იდეოლოგიური ზეგავლენა რეგიონულ პოლიტიკაზე. ჩვენი კვლევის შედეგად აგრეთვე ყურადღება გავამახვილეთ იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც „ოპეკ“– ისთვისაა დამახასიათებელი. კონკრეტულად წარმოვაჩინეთ ის, თუ რამდენად ახდენს გავლენას ის მსოფლიოში საწვავის ფასებზე.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია **„ევროკავშირის პოლიტიკა“ სერიიდან „ევროინტეგრაცია“ თბილისი 2007.** რომელიც გამოგვადგა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში არსებული გამოწვევების შესასწავლად.

რეგიონში წარმოდგენილ პრგანიზაციებზე მოკლე მაგრამ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწდის ნაშრომი, რომელიც კარგ მიმართულებას გვაძლევს კვლევის ჩატარებისას, ესაა **რევაზ გაჩეჩილაძის „ახლო აღმოსავლეთი: გეოპოლიტიკა“, ტომი მეორე, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი, 2019;**

ისლამური სამყაროს ლიგა“, ისლამი- ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი 1999. ისლამური სამყაროს ლიგის იდეოლოგია აღნიშნულ ნაშრომში საკმაოდ საინტერესოდაა განხილული ამიტომ ის ჩვენი კვლევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს.

მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის **G. Hadley-ის წიგნი** ***CENTO—The Forgotton Alliance*****, Brighton, 1971.** სადაც, ავტორი სრულყოფილად განიხილავს ორგანიზაცია სენტოსა და „ბაღდადის პაქტის“ შექმნისა და მოღვაწეობის თავისებურებებს, რაც ძალიან დაგვეხმარა ორგანიზაციების საქმიანობის გაანალიზებაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, რომელიც ძალიან დაგვეხმარა ორგანიზაცია ოპეკის განხილვაში ეს არის **Giuliano Garavini -ის The Rise and Fall of OPEC in the Twentieth Century Hardcover- September4, 2019.** ამ ნაშრომში განხილულია, ორგანიზაციის გზა ჩამოყალიბებიდან დღემდე, მისი სამოქმედო გეგმები და ასევე მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები, როგორც წევრ ისე არაწევრ ქვეყნებთან.

თავი I . რეგიონისგარეთა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პრობელემების მოგვარებაში

ახლო აღმოსავლეთი, რომელიც შუმერებისა და აქადელების სამშობლოა, სადაც კაცობრიობის აკვანი დაირწა, ყოველთბის უდიდეს როლს ასრულებდა მსფლიოში მიმდინარე პროცესებში და მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ახლო აღმოსავლეთი უამრავი რელიგიური და ეთნიკური ჯგუფის განსახლების არეალია, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გლობალური ძალების მუდმივი ყურადღების ცენტრშია ყოველთვის თავისი ბუნებრივი რესურსებითა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. ასევე უამრავი კონფლიქტისა და ბრძოლის წამოწყების ადგილიცაა, რომლებშიც არამარტო დიდი სახელმწიფოები, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და ა. შ. ერეოდნენ და ერევიან დღემდე, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიც ხშირად ერთვებოდნენ ზოგი მდგომარეობის განმუხტვისათვის, ზოგიც კი სარგებელის ნახვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკური ყურადღება ხშირად გეოპოლიტიკური ცვლილებების საფუძველი ხდება, რაც ისტორიაში არაერთხელ დადასტურდა.

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის „ძალთა ბალანსის თეორია“, რომელიც აანალიზებს არსებული კონფლიქტის არსს და მისი შესაძლო მოგვარების პერსპექტივებს, ასევე „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია (კოენისეული კონცეფცია), რომელიც საერთო საფრთხეების აღიარებას მოიცავს, დიდ როლს ასრულებს ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაციის გაანალიზებისას. „უსაფრთხოების დილემა“, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ანარქიით, როდესაც სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების გაზრდით არიან დაინტერესებულები და თავიანთ სამხედრო ძლიერებას საყოველთაო უნდობლობის

ვითარებასა და უზენაესი საერთაშორისო ხელისუფლების არსებობის პირობებში ზრდიან. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემებისა და კონფლიქტების გადაჭრაში იღებენ მონაწილეობას და ამ კონფლიქტების მარეგულირებელ-დამბალანსებლებად გვევლინებიან.

1.1 ერთა ლიგის ჩართულობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ტერიტორიული პრობლემების მოგვარებაში

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ერთეულები თანამედროვეობასთან მიახლოებული სახით გასული საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. 1916 წელს, საიქს-პიკოს სახელით ცნობილი შეთანხმებით, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა ახლო აღმოსავლეთი ახალი კონტური მოხაზეს. ეს შეთანხმება მიზნად ისახავდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის არაბული სამფლობელოების გაყოფას. საიქს-პიკოს შეთანხმებით, სირიის, იორდანიის, დღევანდელი ერაყის, ისრაელ-პალესტინისა და ქუვეითის ტერიტორია ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაქვემდებარების ან გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

1917 წლიდან პალესტინაში დიდი ბრიტანეთი ფაქტობრივად „მტრისგან ოკუპირებულ ტერიტორიას“ მართავდა (ეს იყო 1922-1947 წლებში ერთა ლიგის მანდატით დიდი ბრიტანეთისთვის სამართავად გადაცემული ტერიტორია). ოდნავ მოგვიანებით 1919 წელს, ერთალ ლიგამ ზუსტად ამ შეთანხმების საფუძველზე შექმნა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა. [1]

[1] რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018. გვ. 72-74.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი, 1919 წელს პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე გეგმავდა ქურთისტანის კანდიდატურის წამოყენებას. ქურთების განსახლების არეალის აღიარება უნდა მომხდარიყო მოკავშირე სახელმწიფოთა მანდატს ქვეშ მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს შორის და დამოუკიდებლობის მიღების შესაძლებლობაც არსებობდა. ამ შემთხვევაში ბრიტანეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა ბოლშევიკური რუსეთის, თურქეთისა და მესოპოტამიას შორის ბუფერული სახელმწიფოს შექმნა იყო. ოსმალეთის იმპერიის რეგიონებისთვის უსფრთხოებისა და სუვერენიტეტის გარანტიებზე იყო საუბარი ასევე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ე.წ „მე-14 პუნქტში“. აშშ-ს პრეზიდენტი ემხრობოდა თვითგამორკვევის კონცეფციას, მაგრამ მოგვიანებით, ამერიკის შეერთებული შტატები ომის შემდგომი სამშვიდობო პროცესიდან გავიდა და ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე აშშ-ს კონგრესმა უარი თქვა.

საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესში, ერაყის საკითხზე განსაკუთრებით აქტიურობდა ბრიტანეთი. ერთადერთი უთანხმოების საგანი თურქეთთან მოსულის ზონა იყო. ბრიტანეთში გადაწყდა, რომ მოსულის ნავთობით მდიდარი რეგიონი აუცილებლობას წარმოადგენდა ერაყის სახელმწიფოს არსებობისათვის.

ერთა ლიგის საბჭომ ბრიტანეთს დაუჭირა მხარი და მოსული ერაყის ნაწილი გახდა. მართალია მცირე წინააღმდეგობა იყო თურქეთის მხრიდანაც, მაგრამ საბოლოოდ მხარდაჭერა მისგანაც მიიღეს. 1922 წლის 24 დეკემბერს, კი დაიდო ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერაყში ქურთებს თავიანთი მთვავრობა ეყოლებოდათ.

პალესტინაში დიდ ბრიტანეთს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესი გააჩნდა. მას ხაიფას ნავსადგური სჭირდებოდა, რომელიც ბრიტანული ფლოტის მსხვილ ბაზად იქცა. ფლოტს ევალებოდა სუეცის არხის დაცვა. განსაკუთრებული სერიოზული ეკონომიკური ინტერესი დიდ ბრიტანეთს პალესტინაში არ ჰქონია. პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ლონდონში, სადაც პალესტინის ბედი წყდებოდა,

როგორც ჩანს სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ სიონისტურ ოცნებას- საკუთარი სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით პალესტინაში. კიდევ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთობდნენ იმ საშიშროებაზე ფიქრს რაც ახლო აღმოსავლეთში შეიძლებოდა მოჰყოლოდა ახალი ეთნიკური კონფლიქტური კერის შექმნას.

1925 წლის 19 დეკემბერს ნაჯდის (არაბეთის ნახევარკუნძულის შუაგულში მდებარე) სულთანმა, დაიპყრო დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰიჯაზის სამეფო, მისი დედაქალაქი მექა აითო და იქიდან მეფე ალი ბინ ჰუსაინი გააძევა. რადგან ჰიჯაზი ერთა ლიგის წევრი იყო, მისი წესდების თანახმად ლიგას უნდა დაეცვა თავისი წევრი ქვეყანა გარეშე ძალების თავდასხმისაგან. თუმცა ასე არ მოხდა და ჰიჯაზი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ერთა ლიგა სანდო ორგანიზაცია არ იყო. 1925 წელს დიდ ბრიტანეთს, რომელიც ლიგის ახლო აღმოსავლეთის იმდროინდელი ჰეგემონი იყო და რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ჰქონდა, ხელი არ შეუშლია ნაჯდის სულთნის აგრესიისათვის ჰიჯაზში.

1925 წლის დეკემბერშივე ერთა ლიგის საბჭომ მოსულის ვილაიეთი მიაკუთვნა ერაყს იმ პირობით, რომ ბაღდადის მთვარობა „უმცირესობათა ეროვნულ განსხვავებულობასა და თვითშეგნებას აღიარებდა“. ერაყის მმართველი რეჟიმები დიდი ბრიტანეთიდან, საბჭოთა კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან პერიოდული ზეწოლის გამო ჩრდილოეთ ერაყში ქურთული უმცირესობების სამოქალაქო უფლებებს პერიოდულად ცნობდნენ ხოლმე.

1926 წლის 5 ივნისს ინგლისი, ერაყი და თურქეთი შეთანხმდა მოსულის საკითხზე. თურქეთს, ერაყსა და ინგლისს შორის ანკარაში ხელმოწერილი შეთანხმებით მოსულის საკითხი გადაწყდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჯერ ოსმალეთთან, ხოლო შემდეგ ინგლისსა და თურქეთს შორის [2]წარმოქმნილი მოსულის პრობლემა, ერთა ლიგაში შეტანით დასრულდა, რომელიც

[2] „ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო პოლიტიკაში“ გვ.1. https://bokagasishvili.wordpress.com (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2020)

ინგლისის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ერთა ლიგამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსული ერაყის ტერიტორიას შეერთებოდა და თურქეთი კი იმ პირობებიდან გამომდინარე ფაქტობრივად იძულებული გახდა ამ გადაწყვეტილებისათვის მხარი დაეჭირა.

ინგლისმა, რომელსაც არ სურდა რეგიონში არსებული საბადოების გამო მოსულზე უარის თქმა, იგი ერაყს გადასცა, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე რეგიონში გადაწყვეტილებებს მაინც ინგლისი იღებდა. მოსულის პრობლემის აღმოსაფხვრელად, კი დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც რეგიონში მოპოვებული ნავთობის 10 პროცენტი თურქეთს ეძლეოდა 25 წლის მანძილზე.

მეორე მსოფლიო ომმა თან გაიყოლა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებზე არსებული ერთა ლიგის მანდატები და პროტექტორატები. 1944 წლის 17 ოქტომბერს საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის ჯარებმა ირანი დატოვეს; 1947 წელს ბრიტანეთის ჯარები გავიდნენ ერაყიდან; 1947 წელს ეგვიპტე გათავისუფლდა ბრიტანეთის პროტექტორატისაგან; 1948 წელს შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო არაბული რესპუბლიკების გარემოცვაში, რომლის შედეგებიც დღემდე ვლინდება ახლო აღმოსავლეთსა და მთელს მსოფლიოში. ახლო აღმოსავლეთმა ახლებური ძალებით იფეთქა მსოფლიო პოლიტიკაში ისრაელ-პალესტინის დაპირისპირების დროს, რომელშიც თითქმის მთელი არაბული სამყარო ჩაითრიეს. ამ კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატები გაზრდილი როლით გვევლინება. ის ისრაელის მოკავშირედ გამოდის მტრულად განწყობილ არაბულ სამყაროში. 1948-1949, 1956, 1967 და 1973 წლების ომები ისრაელის გამარჯვებით დასრულდა არაბული სამყაროს წინააღმდეგ. 1967 წლის „ექვსდღიანი ომის დროს ისრაელმა დაიკავა ეგვიპტის, იორდანიისა და სირიის მომიჯნავე ტერიტორიები. მან მხოლოდ 1993 წელს აღიარა პალესტინელი არაბების ავტონომია ამ ტერიტორიაზე. [3]

[3] „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის შექმნა და ერაყის ქურთისტანი“ გვ.1. http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=161596 (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2020)

„საიქს-პიკოს გარიგების გეოპოლიტიკური სულისკვეთება შენარჩუნდა, რადგან არაბები მას დღემდე იხსენებენ, როგორც მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობის თვალსაჩინო მაგალითს დასავლეთელი იმპერიალისტების მიერ. ფაქტი ისაა, რომ ერთა ლიგის ნაბიჯები, უმოქმედობა, თუ მოქმედებები ყოველთვის ერთგვარ ქაოსს ქმნიდა ახლო აღმოსავლეთში, რადგან მას მართავდნენ ისეთი ძლიერი ძალები, რომელთა წინააღმდეგ ვერ მიდიოდა ვერავინ. შესაბამისად ყველაფერი ისე წყდებოდა როგორც დიდ სახელმწიფოებს სურდათ დროისა და მდგომარეობის მიხედვით.

1.2 გაერო-რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისა და კონფრონტაციების თავიდან ასაცილებლად

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ყველა ქვეყანა შედის გაეროს შემადგენლობაში. მათ შორისაა შვიდი სახელმწიფო, რომელიც 1945 წელს ორგანიზაციის დამაარსებლები იყვნენ (ირანი, ეგვიპტე, ლიბანი, სირია, თურქეთისაუდის არაბეთი და ერაყი). პალესტინა 2012 წელს შეუერთდა გაერო-ს „არა-წევრ სახელმწიფოთა“ რიცხვს, რომელსაც გენერალური ანსამბლეის სხდომებისას ხმის მიცემის უფლება არ აქვს, მაგრამ ის დე ფაქტო სახელმწიფოდ ცნეს.

ახლო აღმოსავლეთში საზღვრების უდიდესი ნაწილი ევროპული კოლონიალიზმის მემკვიდრეობა უფროა. სამჯელო საკითხია დადებითი წვლილი შეიტანეს მომავალ სასაზღვრო დავებში ბალფურის დეკლარაციამ და გაეროს უშიშროების საბჭოს შეუსრულებელმა რეზოლუციებმა თუ უარყოფითი. აღსაღნიშნია ის, რომ ისრაელის სახელმწიფოს დავა აქვს სირიასთან საზღვართან დაკავშირებით (1967 წლიდან ისრაელს სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობი აქვს ოკუპირებული, 1981 წელს მისი ცალმცრივი ანექსირებაც კი მოახდინა), ასევე ლიბანთან აქვს გასაყოფი

ხარ-დოვის ფერმების ტერიტორია. ამასთან ერთად გაურკვეველია ისრაელ-პალესტინის საზღვრის მდებარეობაც სად მდებარეობს ან სად გაივლის მომავალ პალესტინის სახელმწიფოსთან. საკუთრივ თავისი პრობლემა აქვს კატარსაც, რომელმაც 1974 წელს შეიტყო, რომ მას საერთო საზღვარი აღარ აქვს გას-თან და მხოლოდ საუდის არაბეთის მოსაზღვრე დარჩა.

გაეროს მიზანი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ისევე, როგოც მთელს მსოფლიოში კონფლიქტის თავიდან აცილება და მშვიდობის შენარჩუნებაა. მეორე საკითხია ახერხებს თუ არა ის ამას კეთილსინდისიერად. მისი მშვიდობისმყოფელთა ძალები აკონტროლებენ ბუფერულ ზონას კუნძულ კვიპროსზე, რომელიც 1974 წლიდან კვიპროსის ეროვნულ გვარდიასა და თურქეთის არმიას მიჯნავს ერთმანეთისაგან. გაროს სადამკვირვებლო მისიათა ჯგუფები ბევრი ქვეყნის საზღვართან დგას და აკონტროლებენ სიტუაციას ისევე როგორც, სამხრეთ ლიბანში, სინას ნახევარკუნძულსა და გოლანის მაღლობზეც.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა, რაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება (კონფლიქტია) მოქცეული, რომელიც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სახელითაცაა ცნობილი. სწორედ ეს სახელწოდება მიგვანიშნებს ამ კონფლიქტის უდიდეს მნიშვნელობაზე რეგიონში, რადგან ყოველთვის დიდ ყურადღებას იმსახურებდა და განხილვის საგანი იყო საერთაშორისო საზოგადოებაში, რომელიც სხვა დიდი კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს ჩრდილავდა. ეს დამოკიდებულება დღესაც გრძელდება.

ისრაელი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ შეიქმნა პალესტინის ტერიტორიის ნაწილზე, რომელიც 1948 წლის მაისის თვემდე იგლისის მანდატის ქვეშ იყო და რა თქმა უნდა მისი მმართველობის ქვეშაც იყო მოქცეული. 1947 წლის გაეროს გადაწყვეტილებით პალესტინაში შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო: არაბული და ებრაული სახელმწიფოები. ანსამბლეის მიერ მიღებული ეს

გადაწყვეტილება ორი ახალი სახელმწიფოს დაარსების თაობაზე და მათ შორის საზღვრების დადგენაზე პალესტინაში პროტესტისა და შეიარაღებული ბრძოლის დაწყების მიზეზი გახდა ებრაელებსა და არაბებს შორის. [4] 1947 წლის თებერვლის თვეში დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა მთავრობა, უარი განაცხადა პალესტინაზე მანდატით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე და ქვეყანაში არსებული პრობლემის მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადაულოცა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა კომისიამ პალესტინა წინასწარ მოინახულა და დაადგინა, რომ ერთ სახელმწიფოში არაბებისა და ებრაელების თანაცხოვრება წარმოუდგენელია. შესაბამისად შედგა პალესტინის ორად გაყოფის გეგმა. გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ 1947 წლის 29 ნოემბერს მიიღო რეზოლუცია - N 181, რომლის მიხედვითაც რეკომენდაცია მისცა პალესტინის ორ სახელწიფოდ გაყოფას და იერუსალიმის ცალკე რაიონად გამოყოფას, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მყოფი ქალაქი. ქვეყნის ორივე ნაწილი უწყვეტი ხაზით ვერ გაიმიჯნებოდა და რამდენიმე ნაწილისაგან უნდა შემდგარიყო მისი დაყოფა. გაეროს რეზოლუციის თანახმად სამანდატო პალესტინის ტერიტორიის 56, 47 პროცენტი ებრაულ სახელმწიფოს რჩებოდა, რომელსაც ექნებოდა ხელთაშუა ზღვაზე გასასვლელი. ასევე მას ეძლეოდა ზემო გალილეის დიდი ნაწილი და აკაბას ყურეში გასასვლელი. რაც შეეხება არაბულ სახელმწიფოს, მას სამანდატო პალესტინის ტერიტორიის გარეშე 43, 53 პროცენტი უნდა დარჩენოდა. მას გასასვლელი უნდა ჰქონოდა ზღვაზე, რომელიც იქნებოდა ორმონაკვეთიანი, ერთი სამხრეთით ქალაქ ისდუიმდე, ქალაქ მაჯდალიმდე და ქალაქ ღაზამდე (ეგვიპტის საზღვრამდე) და ჩრდილოეთით ქალაქ აკოდან ლიბანის საზღვრამდე. არაბულ სახელმწიფოს დასავლეთ გალილეაც უნდა ჰქონოდა ქალაქ ნაზარეთით, რამლათი და ლიდათი, ასევე „დასავლეთ ნაპირად“ წოდებული ტერიტორია სადაც არაბები აბსოლუტურ

[4] ზ.მენთეშაშვილი.ახლო და შუა აღმოსავლეთი.თბილისი.2002წ.გვ.134.

უმრავლესობას წარმოადგენდნენ. იერუსალიმის რაიონი საერთაშორისო კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა გაეროს რეზოლუციას უჭერდა მხარს და მიესალმებოდა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნას. განსაკუთრებით ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან ევროპის ებრაელობას მეორე მსოფლიო ომის დროს გადატანილი ტანჯვა მწარედ ახსოვდათ. გაეროს რეზოლუციას მოულოდნელად მხარი საბჭოთა კავშირმაც დაუჭირა რომელიც 1947 წლამდე პალესტინაზე ბრიტანული მანდატის გაუქმებას მოითხოვდა და სურდა, რომ იქ „ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფო“ შექმნილიყო.

1948 წლის მაისში, როდესაც პოლიტიკური ვითარება უმართავი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევა გადაწყდა. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მოითხოვდნენ პალესტინაზე გაეროს მეურვეობის დაწესებას, რაც ავტომატურად ნიშნავდა ქვეყანაში საერთო კოლონიური მმართველობის დამყარებას. გაერო არ დათანხმდა ამ გეგმის ცნობას. საბოლოოდ კი 1948 წლის 14 მაისს დაარსდა ისრაელის სახელმწიფო.

1949 წლის 11 მაისს ისრაელი გახდა გაეროს წევრი და მის საზღვრად მიჩნეულ იქნა 1949 წლის დაზავების ხაზი, რომელიც 1967 წლამდე იორდანიასთან და ეგვიპტის დაქვემდებარებაში მყოფ ღაზის სექტორთან ასრულებდა საზღვრის როლს. საერთაშორისო საზოგადოებაც თანდათან მიეჩვია ამ მდგომარეობას. [5]

1964 წლის ბოლოს პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველი სესია ჩატარდა იერუსალიმის არაბულ სექტორში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ პალესტინელთა წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან (სირია, იორდანია, ლიბანი, ერაყი, სპარსეთის ყურის საემიროები, ღაზას სექტორი). საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის შექმნის

[5] კ. ჟღენტი.პალესტინა და პალესტინელები. ,,ნაკადული''თბილისი.1986წ გვ.60-72.

თაობაზე და ეროვნული ქარტია დაამტკიცა, რომელიც ყველა პალესტინელს ორგანიზაციის წევრად, ხოლო პალესტინელ ხალხს მის „შვილებად“ აცხადებდა. ამავე საბჭომ პალესტინის გათავისუფლების არმიის შექმნის გადაწვეტილებაც მიიღო. 1964 წლის სექტემბერში ორგანიზაცია ოფიციალურად ცნეს „პალესტინელთა საზოგადოების საფუძვლად“.

გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ 1974 წლის ოქტომბერში 105 ხმით 4 -ის წინააღმდეგ გადაწყვეტილება მიიღო პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის მოწვევის, სადაც უნდა განეხილათ სახელმწიფოს პრობლემა. სწორედ ამ განხილვას მოყვა ამავე წლის ნოემბრის თვეში გაეროს გენერალური ანსამბლეის გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებდა პალესტინელი არაბი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, თვითგამორკვევისა და ასევე კუთვნილ ტერიტორიებზე დაბრუნების უფლებას, ყოველგვარი გარე ძალების მიერ ჩარევის გარეშე.

1980 წლის 20 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 478, რომელშიც ისრაელის ქნესეთის აქტი დაგმო, როგორც საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევა და ასევე „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის“ ჟენევის 1949 წლის კონვენციის საწინააღმდეგო ქმედება. დღემდე აღმოსავლეთ იერუსალიმი იურიდიულად ოკუპირებული ტერიტორიაა. რეზოკულუცია 478 კი ჯერ კიდევ ძალაშია. გაეროს უშიშროების საბჭომ თავის წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვა, რომ თავისი საელჩოები იერუსალიმიდან სხვაგან გადაეტანად. მსოფლიო კი დღემდე არ ცნობს ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმს. ამიტომაა განლაგებული უსცოეთის ქვეყნების საელჩოების უმრავლესობა თელავივსა და მის ახლო მდებარე ქალაქებში.

პალესტინისა და ისრაელის ტერიტორიული კონფლიქტის მოწესრიგების კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენდა ე.წ. „კვარტეტის“ მიერ შემუშავებული გეგმა, რომელსაც „საგზაო რუკა“ ეწოდა და რუსეთი, ევროკავშირი, გაერო და ამერიკის შეერთებული შტატები ედგნენ სათავეში. ეს გეგმა 2005 წლამდე პალესტინის არაბული

სახელმწიფოს შექმნას გულისხმობდა, ზოგიერთი წინასწარი პირობის დაცვით, რომელიც ოფიციალურად 2003 წლის 29 აპრილს წარადგინეს. პირობები ცალსახა და ნათელი იყო: ისრაელის მხარეს მოეთხოვებოდა სამხედრო ნაწილების გაყვანა პალესტინური ტერიტორიებიდან, ასევე საახალშენო საქმიანობის შეწყვეტა მერე კი უკანონოდ დაარსებული ფორპოსტების მოშლა, ხოლო პალესინის მხარეს ტერორიზმის აღმოფვრა, თავისუფალი არჩევნებისა და პოლიტიკური რეფორმების ჩატარება, აგრეთვე კონსტიტუციის შექმნა. პალესტინის საბოლოოს საზღვრების დადგენა საერთაშორისო კონფერენციას უნდა მოეხდინა. ამ გეგმის განხორციელება განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებს სურდათ, რადგან ამით თავიანთი მიუკერძოებლობის ჩვენება სურდათ არაბული სამყაროსათვის, რომელიც ერაყში ცალმხრივი, გაეროს მხარდაჭერის გარეშე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, საკმაოდ ნეგატიურად იყო განწყობილი „დასავლეთის“ მიმართ.

გაეროს ყველაზე გრძელვადიან პროექტს რეგიონში ახორციელებს 1949 წლის დეკემბერში შექმნილი „ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების შემწეობისა და დასაქმების სააგენტოს“ (UNRWA) მეშვეობით. ეს სააგენტო დღემდე აქტიურად მუშაობს იმ ქვეყნებში, სადაც მის მიერ რეგისტრირებული პალესტინიდან განდევნილი 5.3 მილიონი ლტოლვილია, ეს ქვეყნებია: სირია, იორდანია და ლიბანი. აქედან განსაკუთრებით ლიბანში აქტიურობს რადგან პალესტინელ ლტოლვილებს აქ თითქმის მხოლოდ ამ სააგენტოს იმედზე უწევთ ყოფნა.[6]

გაერთიანებული ერების ოგანიზაცია ემსახურება მრავალ მნიშვნელოვან მიზანს გლობალური მმართველობის კონტექსტში. როგორც ხალხები და სახელმწიფოები ურთიერთკავშირდებიან, ასევე საჭიროა ეფექტური საერთაშორისო მენეჯმენტი, რომელიც გლობალურ სახითხებს მიაქცევს ყურადღებას, ისეთებს როგორებიცაა ტერორიზმი, ლტოლვილთა მოძრაობა, კლიმატის ცვლილება და ეკონომიკური

[6] რ. ღირსიაშვილი. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი:ორი ერი, ერთი მიწა. პოლიტიკური კვლევის ცენტრი. თბილისი 2003წ.გვ.58

კრიზისი. ახლო აღმოსავლეთის წინაშე დგას საკითხები, რომლებიც ამ ჩამონათვალს სრულად მოიცავს და საჭიროა სპეციფიკური დაკვირვება და საკითხის გაანალიზება ისე, რომ დროულად და რაც მთავარია სწორად გადაიჭრას ახლო აღმოსავლეთში არსებული მრავალრიცხოვანი კონფლიქტები.

1.3. ევროკავშირის აქტივობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში და მისი ეკონომიური ინტერესები რეგიონში

ახლო აღმოსავლეთს შორეული პლანეტიდან დაკვირების შედეგადაც ეტყობა ბოლო წლებში, რომ რეგიონში ყველაზე გავლენიანი გარეგანი ძალა ევროკავშირია. შუა აღმოსახლეთში მოგზაურობის შემდეგ მთავრობების საგარეო საქმეთა მინისტრები, ევროკავშირის წარმომადგენლები, სპეციალური ემისიები და ტექნიკური თანაშემწეები აღფრთოვანებულები იყვნენ პალესტინიდან და ისრაელის ტერიტორიებით. მათ გაუწიეს ევროპული მატერიალური დამარება პალესტინელებს. მაგრამ ევროკავშირის საქმიანობა მხოლოდ ვიზიტები, ტექნიკური დახმარებები და დიპლომატიური კონტაქტები არ არის. სამშვიდობო გეგმების აქტიურმა შემუშავებამ ევროპული დედაქალაქების, პოლიტიკოსებისა და დიპლომატების სახელების თანხლებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მოიცვა. მაგრამ საკითხავია მთელი ეს აქტივობა გამოიწვევს თუ არა ციებ-ცხელებას, არის თუ არა ეს იმედის ნაპერწყალი. ევროკავშირს, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანას, ამერიკის შეერთებული შტატების გარდა არ აქვს არანაირი წონა შუა აღმოსავლეთში. სანამ ორგანიზაცია არ ჩამოაყალიბებს საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას, ის გიგანტად დარჩება შუა აღმოსავლეთში. აშშ ერთადერთია ვისაც ახლო აღმოსავლეთში გავლენა აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, რა მიზანი აქვს მას. მართლა აქვთ თუ

არა თავიანთი გავლენის გამოყენების სურვილი, საომარ მოქმედებებზე ზეწოლის მოსახდენად მშვიდობიანი პროცესების წარმართვისკენ, თუ არა. [7]

ფაქტია, რომ რეგიონი დიდი პოლიტიკური-ეკონომიკური ძვრების წინაშე დგას. გარეშე ძალების ჩარევა (ამ შემთხვევაში ევროკავშირის) ხან აჩერებს ამ პოლიტიკურ ცვლილებებს, ხანაც პირიქით ამწვავებს. რა კუთხით განვითარდება მოვლენები და როგორ შეიცვლება ინტერესთა ბალანსი ეს დამოკიდებულია მხარეების სურვილებსა და მიზნებზე.

ევროკავშირის ძირითადი როლი მთელი ისტორიის განმავლობაში, თუნდაც საომარ მდგომარეობაში, მშვიდობა იყო, რომელიც ბევრისთვის მიუწვდომელია დღემდე. მისი პოლიტიკური აქტივობა დიდად არ იგრძნობა ახლო აღმოსავლეთში. გამორიცხულია, რომ ევროპის 27 სახელმწიფოს ჰქონდეს ერთნაირი პოლიტიკური ინტერესი სხვა რეგიონის 17 ქვეყნისადმი. თუ ფორმალობას გავითვალისწინებთ ევროკავშირი გამოდის, როგორც „ერთი ხმა“, მაგრამ მხოლოდ ე.წ. „ახლო აღმოსავლეთის კვარტეტში“, რომელიც შეიქმნა 2002 წელს რათა მოეგვარებინა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი. ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და გაერო კი მისი დანარჩენი წევრები არიან. „კვარტეტის“ დაბალანსებული პოლიტიკისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს პროისრაელური პოზიცია აქვს. ისრაელი და პალესტინა, როგორც „ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის“ ძირითადი სუბიექტები, თავის მხარდამჭერ არაბულ ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის როლს სხვადასხვა პოზიციიდან უყურებენ კონფლიქტების მოგვარებაში. არაბული ქვეყნები ევროავშირის როლის გაზრდას ამჯობინებენ ამ კონფლიქტის მოგვარებაში, რაც პრაქტიკულად ვერ ხორციელდება. ისრაელი კი „პროარაბულად“ მიიჩნევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს (მათ შორის დანიას, შვეცია,

[7] R. Yongs. Europe in the New East: Opportunity or Excusion. Oxford University Press. November 11.2014. pp.156-159.

ბელგიასა და ირლანდიას, სადაც ადამიანის უფლებების დაცვას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ) და დიდი ნდობით არ გამოირჩევა, რადგან როგორც წესი ევროკავშირი ისრაელის ქმედებებზე „შეშფოთებას გამოთქვამს“ ხოლმე, როდესაც საქმე პალესტინელების უფლებების დარღვევას ეხება.

2011 წლიდან სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა რეგიონზე. ლიბიაში დღესაც კონფლიქტია, ხოლო ეგვიპტეში ბოლო დროს რთული პოლიტიკური ძრვრებია. რეგიონს ძალადობის რამდენიმე ტალღამ გადაუარა, მიუხედავად იმისა რომ მშვიდობის დამყარების პროცესში საკმაოდ დიდი ძალისხმევა იდება ეს ეხება ღაზას მოვლენებსაც. ამ ყველაფერმა გაართულა ევროკავშირისა და მისი პარტნიორების წინაშე მდგარი პრობლემები, გაუარესდა სიტუაცია ეკონომიკური და სოციალური კუთხით, გაიზარდა მიგრაცია და ლტოლვილთა ნაკადებმა იმატა, ასევე სხვადასხვა საფრთხეებმაც იმატა.

ევროკავშირს თავის მხრივ რეგიონში გააჩნია თავისი ეკონომიკური ინტერესები. ის რეგიონის ქვეყნების უმეტესობის ძირითადი ეკონომიკური პარტნიორია და ასევე სამრეწველო საქონლის მთავარი მიმწოდებელიც. აღსაღნიშნია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ახლო აღმოსავლეთიდან მარაგდება ნავთობით. ეს ორგანიზაცია პალესტინის ადმინისტრაციისთვის ძირითადი ფინანსური დონორიცაა, ამიტომ გასაკვირი არცაა რატომ გამოთქვამს შეშფოთებას ის ისრაელის ქმედებებზე. 2017 წელს მთელს ახლო აღმოსავლეთის რეგიონს ევროკავშირთან ჰქონდა, რომლიდანაც ჯერ დიდი ბრიტანეთი საბოლოოდ არ იყო გასული და 28 ქვეყანას ითვლიდა. ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი კი ევროკავშირს ბევრად ჩამოუვარდებოდა ამ ბრუნვით. [8]

ევროკავშირი თურქეთის, ისრაელისა და ეგვიპტისთვის ძირითადი ეკონომიკური პარტნიორიცაა, ნაგულისხმევია მომსახურება და საქონლით ვაჭრობა.

[8] რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, დიოგენე, თბილისი 2003 წ.; გვ 34-37.

ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში სტუმრობა და დასვენება (კვიპროსი, დუბაი, თურქეთი, ეგვიპტე და ა.შ). ირანთან ურთიერთობაშიც ევროკავშირი განსხვავებულია აშშ-სგან, რადგან ის 2018 წელს ცდილობდა ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შენარჩუნებას.

როგორც უკვე ვიცით, ევროკავშირის გეოგრაფიულ ზღრურბლზე მდებარეობს ისრაელის სახელმწიფო, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია. ევროკავშირის გაფართოების შემდეგ კვიპროსამდე გაიზარდა მისი ფარგლები და ახლა 250 კილომეტრითაა გამოყოფილი ისრაელის სანაპირო ზოლი ევროკავშირისგან. ორგანიზაციისთვის არაბულ სამყაროში არასტაბილური ვითარება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ისრაელისთვის ევროკავშირი არის უდიდესი სავაჭრო პარტნიორი მსოფლიოში. ამ ქვეყანაში ორგანიზაციას თავისი ეკონომიკური მისწრაფებები გააჩნია და სურს რომ ისარგებლოს მიმდინარე პროცესებით.

ისრაელი არ ცდილობს ევროკავშირის წევრი გახდეს, რადგან თავისუფალი მიმოსვლის წინააღმდეგია თავის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ მას მოუწევს მიიღოს დაწესებული რეგულაციები, რომელიც ეწინააღმდეგება მის სურვილებს. რა თქმა უნდა ისრაელს ურჩევნია ნაკლები დანახარჯით მეტი სარგებელის მიღება.

ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობის ფარგლებში ებრაულ პროექტებს აფინანსებს ევროპული საინვესტიციო ბანკი, მაგრამ მთავარი ამოცანა რაც დაუსახა ევროკავშირმა ისრაელს არის პარიზის შეთანხმების შესრულება, რის მიხედვითაც მოეთხოვება ისრაელისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან წარმოებული პროდუქციის განსხვავება. მას არ სურს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიიდან წარმოებული პროდუქციის მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი თვლიდა და აცხადებდა, რომ ეს ტერიტორიები მის საკუთრებაში იყო, მაინც

იძულებული გახდა დათანხმებოდა ამ პოლიტიკას და მიეთითებინა ქვეყანა და ქალაქი, რომელშიც წარმოებული იყო ესა თუ ის პროდუქცია.

ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები რა თქმა უნდა დააზიანებს ისრაელის ეკონომიკას მაგრამ ქვეყნა თვლის, რომ ეს ყველაზე მეტად ევროპას დააზიანებს, რადგან ექსპორტი უფრო მეტი აქვს ისრაელში, ვიდრე იმპორტი. ამერიკის შეერთებულ შტატებზე ისრაელი ეკონომიკურად გაცილებით მეტადაა დამოკიდებული ვიდრე ევროკავშირზე, ამიტომაც იძულებითი ღონისძიებების გატარება მის მიმართ გაუმართლებელია. სამაგიეროდ ევროკავშირის გავლენა გაცილებით დიდია პალესტინაზე, მას არ სჭირდება იძულებითი ღონისძიებების გატარება, რადგან პალესტინა ყველანაირად დამოკიდებულია ორგანიზაციაზე. ის იღებს ფინანსურ დახმარებას, რითაც ავითარებს სახელმწიფო ინსტიტუციებს და სოციოეკონომიკურ მდგომარეობას. [9]

ევროკავშირის მთავარი მიზანია, ისრაელს დაანახოს, რომ პალესტინამ ძლიერი ინსტიტუტები ჩამოაყალიბა რეფორმები გაატარა და გაძლიერდა. ეს როგორც ორგანიზაციისთვის, ისე პალესტინისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

ერთი სახელმწიფოს პირობებში ევროკავშირი ხვდება, რომ კონფლიქტი ვერ მოგვარდება, ამიტომ ისეთი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, რომელიც გაეროს უშიშროების საჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს დაეყრდნობა. ევროკავშირი კი ყოველთვის გამოთქვამს მზადყოფნას ამ კონფლიქტში ითამაშოს მოდერატორის როლი.

კიდევ ერთი კონფლიქტი, რომელსაც რეგიონი ვერ აცდა და მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ევროკავშირ თურქეთის ურთიერთობებში ქურთების საკითხია. ამ ეთნოსის მიმართ თურქეთის მიერ გატარებული ხისტი პოლიტიკა რამდენიმე ათეული წელია ევროკავშირის ყურადღების ცენტრში მოექცა. ორგანიზაცია

[9] E. Lewin. The inevitable dead end of the Arab-Israel conflict. Cogent Social Sciences 2016. pp.204.

მოუწოდებს და ეხმიანება რეკომენდაციებით მშვიდობიანი გზით მოაგვაროს ქურთებთან დაკავშირებული პრობლემები.

1990 იანი წლების დასაწყისიდან ქურთების საკითხი ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობებში ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა, რადგან თურქეთი თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით დიდ ყურადღებას იქცევდა და შესაბამისად ეს არც ევროკავშირს გამორჩენია. დიდი განხილვების შემდეგ ევროკავშირმა შესთავაზა თურქეთს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილიყო ქურთული ავტონომია, რაცას მოყვა თურქეთის მხრიდან ევროკავშირის დადანაშაულება ქურთულ სეპარატიზმში.

კიდევ ერთი გამოძახილი თურქეთ-ევროკავშირს შორის ქურთული პრობლემით შეშფოთებას მოჰყვა და საბაჟო კავშირის ამოქმედების შესაძლო შეჩერების საშიშროებაც დადგა. როგორც ჩანს, თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა, რამაც აუცილებელი გახადა არსებული პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაციის. ეს კურსი დღემდე ძალაშია, მაგრამ რეალური მონაცემებით თურქეთის ქურთებისადმი დამოკიდებულება ძალიან გაუარესდა. ამ ყველაფერმა ცუდი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირსა და თურქეთის ურთიერთობებზე და ქვეყნის ევროინტეგრაციის შანსები მინიმუმამდე დავიდა. ფაქტი ისაა, რომ თურქეთში ნელ-ნელა იზრდება ანტიევროპული რიტორიკა და თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანება იდეის დონეზე რჩება და ნაკლებად პრიორიტეტული იქნება. [10]

მწვავე ურთიერთდაპირისპირებისა და განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესების გამო რეგიონში ვერ შეიქმნა ევროკავშირის რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირებდა.

[10] ა. ყველაშვილი. თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე მიმართულებები, თბილისი 2013 წ. გვ.85-89.

თავი II. საერთაშორისო და რეგიონული, სამხედრო- პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციების გავლენა რეგიონების ქვეყნების უსაფრთხოებაზე

2.1. „ბაღდადის პაქტი“ და „სენტო“ კოლექტიური დაცვის გარანტი

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა 1950-იანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთის ოლქის შექმნის ინტერესს გამოხატავდა, რათა საბჭოთა კავშირის გავლენისა და კომუნისტური ხელყოფისგან რეგიონი დაცული ყოფილიყო, ეს ყველაფერი იქიდან იყო გამომდინარე რომ ამ პერიოდში აშშ-ის გავლენამ ახლო აღმოსავლეთში დიდ ბრიტანეთი ჩაანაცვლა. „ბაღდადის პაქტი“ იყო ის ერთ-ერთი ბერკეტი რისი მეშვეობითაც სურდა აშშ-ს ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტება. ეს ალიანსი უნდა ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის რეგიონში პოლიტიკური საყრდენი, ასევე ანტი-კოლონიალისტური პოლიტიკის შემსუსტებელი და ყველანაირი დაძაბულობის მომწესრიგებელი.

„ბაღდადის პაქტის“ შექმნით აშშ ფიქრობდა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემები, იქნებოდა ეს საზღვრის, ეკონომიკური თუ სხვა სახის, უფრო მარტივად მოაგვარებდნენ, რადგან მასში შემავალი ქვეყნები მიიღებდნენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც ამ ყველაფერში დაეხმარებოდათ. [11]

„ბაღდადის პაქტს“ ჰყავდა ნატო, როგორც ორგანიზაციისა და მიზნების უმთავრესი მოდელი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შეიქმნა მთავრობათაშორის სამხედრო ალიანსად. ის მოუწოდებდა წევრებს „თავი შეიკავონ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან„ და „ითანამშრომლონ მათი უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის“.

[11] „The Baghdad Pact (1955) and the Central Treaty Organization (CENTO)“. p.1. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

პაქტი ღია იყო არაბული ლიგის ნებისმიერი წევრისთვის ან რომელიმე სახელმწიფოსთვის, რომელიც აქტიურად არის შეშფოთებული ამ რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შესახებ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ გადალახა შინაგანი პოლიტიკური განსხვავებები პაქტთან შეერთების მიზნით. აშშ-ს ყოფნა იგრძნობა ოთხივე წევრთან ინდივიდუალური შეთანხმებების საშუალებით. შეერთებული შტატების ოფიციალური არყოფნის გამო, ბრიტანეთი ალიანსის არაფორმალურ ლიდერად ითვლებოდა. ამ მხარეში ისტორიულმა ბრიტანეთმა თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ერაყის მეგობრული ჰაშემისტური სამეფოს, პაკისტანის სამფლობელოსა და ირანის საიმპერატორო სახელმწიფოების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანების საქმეზე.

ორგანიზაციის ჩამოყალიბება არ მომხდარა ერთბაშად. თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებას 1954 წლის აპრილში, კარაჩაში მოეწერა ხელი, 1955 წლის თებერვალში, კი თურქეთმა და ერაყმაც გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ერაყის ჩაბმას თურქეთთან და თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებაში. ორგანიზაციის იდეა იყო ის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთს ქვეყნები დაკავშირებოდნენ თურქეთს, ნატოს, პაკისტანსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კოლექტიური უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

1955 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ერაყს, თურქეთს, ირანს, პაკისტანსა და დიდ ბრიტანეთს შორის, რომელსაც „ბაღდადის პაქტი“ ეწოდა. ეს პაქტი იყო თავდაცვითი ოგანიზაცია, რომელიც დაფუძნებული იყო ეკონომიკურ და სამხედრო მიზნებზე. მისი მიზანი იყო, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება და კომუნისტური თავდასმების თავიდან აცილება. ეს პაქტი ასევე ნატოს ახლო აღმოსავლეთის ფილიალი გახდა.

„ბაღდადის პაქტის“ ყველა წევრ ქვეყანასთან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინდივიდუალურად გააფორმა ხელშეკრულებები. მართალია ორგანიზაციის წევრი არ გამხდარა, მაგრამ მონაწილეობდა კომიტეტის

სხდომებში და ასრულებდა დამკვირვებლის როლს. ეს კავშირი არაბულ სახელმწიფობზე, ირანსა და ავღანეთზე ზეწოლის იარაღიც უნდა ყოფილიყო. ხელშეკრულების შეერთების მოწოდებებით თურქეთმა და პაკისტანმა არაბულ სახელმწიფოებს მიმართეს, მაგრამ მხოლოდ ირანმა გამოთქვა პაქტთან შეერთების სურვილი. პაკისტანისთვის პაქტი მიზანად ისახავდა ინდოეთთან ურთიერთობების დაბალანსებას და დასავლეთისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

1958 წელს ერაყში მომხდარი რევოლუციის შემდეგ მონარქია დაემხო და დამყარდა რესპუბლიკა, რის შემდეგაც ერაყმა პაქტიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ეს გაერთიანება მისთვის ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, რადგან პროდასავლური კურსი აირჩია და საბჭოთა კავშირთან დაიწყო ურთიერთობის გამყარება. ამ სიტუაციით ისარგებლა საბჭოთა კავშირმა და თანამშრომლობა დაიწყო ბაღდადის ცვალებად რეჟიმებთან. პოლიტიკური არასტაბილურობა ერაყში ნორმად იქცა, რაც სამხედრო გადატრიალებების მიზეზი ხდებოდა, ამასთან ქურთების აჯანყებებმაც იჩინა თავი ავტონომიის მოთხოვნით. ერაყის ამ გადაწყვეტილებამ პაქტის დასუსტება გამოიწვია და მისი რეიტინგი სულ უფრო და უფრო დაეცა. ის ფაქტობრივად ვეღარ ართმევდა თავს რეგიონში შექმნილს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარება.

ახლო აღმოსავლეთში დიდი ხნის განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაართულა პაქტის მუშაობა. 1956 წელს ეგვიპტემ სუეცის არხის ნაციონალიზაცია მოახდინა, ასევე ბრიტანეთისა და საფრანგეთის ძალები სინაის ნახევარკუნძულზე უხეშად ჩაერივნენ მოქმედებებში, რომელსაც ისრაელი გამოეხმაურა და ამის შემდეგ ბრიტანეთმა პაქტში ლიდერის პოზიციები დათმო. სიტუაცია აირია ეგვიპტე-სირიის ურთიერთობაშიც, ლიბანშიც- სამოქალაქო არეულობის სახით, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

1958 წელს თურქეთმა ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ ინტერვენციას ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარი დაუჭირა. გაძლიერდა თურქეთზე გავლენა აშშ-ს მხრიდან, რომელიც მოიცავდა ეკონომიკურ, სამხედრო და

ტექნიკურ დახმარებებს. ასევე საერთაშორისო ბანკის დახმარებები და კრედიტები იდებოდა თურქეთის რეკონტრუქციისა და განვითარებისთვის.

1959 წელს ერაყმა „ბაღდადის პაქტი“ დატოვა, რის შემდეგაც ბაღდადის პაქტის ხელმომწერებმა ამ პაქტს უწოდეს „ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია“- CENTO. აშშ-მა ხელი მოაწერა პაკისტანის, ირანისა და თურქეთის დახმარების ხელშეკრულებას, იმის მიუხედევად, რომ ის ამ ორგანიზაციის წევრი არ იყო. ამ ქმედებით მან ხაზი გაუსვა, რომ აქტიურად განაგრძობს ორგანიზაციის წევრების მხარდაჭერას. [12]

CENTO შეიქმნა, როგორც ჩვეულებრივი სამხედრო ალიანსი 1950-იანი წლების ცივი ომის კლიმატის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ტაერის რეგიონში კომუნისტური ექსპანსიის შიში რეალური იყო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბრიტანული და ამერიკური გარანტიების გარეშე პაკისტანი, თურქეთი, ერაყი და სპარსეთი საკუთარი ინიციატივით იქნებოდნენ. ბრიტანეთისთვის ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების სისტემა მოითხოვდა არაბული სახელმწიფოების მონაწილეობას, განსაკუთრებით ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებში. ნახიონალისტური არაბების მონაწილეობის გარეშე დასავლეთთან დაკავშირებული თავდაცვის პაქტი ვერ დარჩებოდა სტაბილური. 1959 წელს ერაყის გამოსვლის შემდეგ CENTO-მ ვერ შეძლო სხვა რომელიმე არაბული სახელმწიფოს თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

CENTO-ს დახვეწილი ორგანიზაციული სტრუქტურა ჰქონდა. მათ შორის მინისტრთა საბჭო, სამდივდო და ეკონომიკური კომიტეტი, ქვეკომიტეტებით, ჯანმრთელობის, ვაჭრობისა და კომუნიკაციების სფეროში. მინისტრთა საბჭო, რომელიც CENTO-ს უმაღლესი ხელისუფლების წყარო იყო ყოველწლიურად

[12] G. Hadley. CENTO – The Forgotton Alliance, Brighton. 1971. pp.23-34.

იკრიბებოდა პრემიერ-მინისტრების ან საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ლონდონში, თეირანში, ანკარაში ან ვაშინგტონში.

CENTO-ს მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობდა ანკარაშიც, როდესაც „ბაღდადის პაქტის“ გაუქმების შემდეგ მისი ცენტრი ანკარაში გადავიდა. ორგანიზაციას არასდროს შეუმნია მუდმივი შეიარაღებული ძალები. ეს ორგანიზაცია ეკონომიკური და ტექნიკური კუთხით უფრო ეფექტურად მუშაობდა ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით.

ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მსგავსად CENTO-მაც სცადა ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა და მათი დაცვა, ასევე მათ შიდა საქმეებში ჩარევა. მისი მიზანი საბჭოთა კავშირის სამხრეთ-დასავლეთის საზღვრის გაზწვრივ მძლავრი სახელმწიფოების ჯგუფის შექმნა იყო. ამასთანავე, ის ცნობილი იყო, როგორც „ჩრდილოეთი იარუსი“, რათა ხელი შეეშალა საბჭოთა კავშირის შეჭრისათვის ახლო აღმოსავლეთში. ეს ორგანიზაცია არასდროს აძლევდა თავის წევრებს უსაფრთხოების გარანტიებს. მას არც 1965 და არც 1971 წელს გაუწევია დახმარება პაკისტანისთვის. სამხრეთ აზია და ახლო აღმოსავლეთი 1960 იან წლებში არასტაბილური და სუსტი რეგიონი გახდა, აქ მიმდინარე ინდო-პაკისტანური ომებითა და არაბეთ-ისრაელის კონფლიქტით, რომელშიც არც თუ ისე დიდი ჩართულობა ჰქონდა CENTO-ს. [13]

1965 და 1971 წელს პაკისტანი უშედეგოდ ცდილობდა ინდოეთთან ომებში მხარდაჭერის მიღებას ორგანიზაციისგან, მაგრამ ამ ყველაფერს იგი უარყოფდა, რადგან თვლიდა, რომ CENTO იყო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად საბჭოთა კავშირის ჩანაცვლებას ისახავდა.

1979 წლისთვის CENTO მოძველდა ძირითადი ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, 1960-იანი წლებისა და 70 -იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირმა გადალახა

[13] R.K. Ramazani. „Iran, CENTO and the Soviet Union“. Free World Forum 2/4. 1960. pp.52-55.

„ჩრდილოეთის დონის“ სტრატეგია, გააძლიერა მისი ყოფნა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლებიც არ იყვნენ CENTO-ს წევრები. საბჭოთა კავშირმა მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკური კავშირი დაამყარა სირიასთან, ეგვიპტესთან, იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სენტოს ყოფილ წევრ ერაყთან. მოსკოვმა ასევე მოაწყო შეთანხმებები სირიის, იემენისა და სომალის საზღვაო ბაზების დამყარებისთვის.

1974 წელს თურქეთი შეიჭრა კვიპროსში, ბერძნული სახელმწიფოს გადატრიალების შემდეგ. ბრიტანეთმა გააკრიტიკა თურქეთი ყოფილი კოლონიისა და თანამეგობრობის წევრში შეჭრის გამო. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა რომელსაც ანკარა უჭერს მხარს, არ მიიღებს ცნობას დიდი ბრიტანეთის ან საერთაშორისო თანამეგობრობისგან. უფრო მეტიც, ბრიტანეთის მთავრობამ გააცნობიერა, რომ კონფლიქტი შეიძლება გავრცელდეს აკროტირისა და დაკელიას ბრიტანეთის სუვერენულ ბაზაზე, რაც აუცილებელი ადგილები იყო CENTO-ს ვარჯიშებისა და შეხვედრებისთვის. თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის შემდეგ იმავე წლის განმავლობაში, ბრიტანეთის მთავრობა გადაწყვიტა სამხედრო ძალების გაყვანა, რომელიც ალიანსისთვის დაცული იყო. ამ გადაწყვეტილებამ ეფექტურად დაასრულა CENTO-ს საქმიანობის უმეტესი ნაწილი.

ირანში მომხდარმა რევოლუციამ დააჩქარა ორგანიზაციის დასრულება. ირანის ისლამურმა რესპუბლიკა 1979 წელს CENTO-დან გავიდა. ამით მან დაასრულა გაერთიანებულ სამეფოსთან თითქმის 25 წლიანი მოკავშირეობა. ორგანიზაცია დატოვა პაკისტანმაც რის შემდეგაც ის ოფიციალურდა დაიშალა და შეწყვიტა არსებობა. შეიძლება ითქვას, რომ ირანისა და თურქეთის თანაარსებობამ ერთ სამხედრო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან მათ განსხვავებული პოლიტიკური ხედვები ჰქონდათ.

CENTO-ის დაშლის შემდეგ, ბრიტანეთი რეგიონალურ ქვეყნებთან ორმხრივი თავდაცვის ხელშეკრულებებს ირჩევდა. შეერთებულმა შტატება, რომელიც 1956

წლიდან ასოცირებული წევრი იყო ხელი მოაწერა ორმხრივ ხელშეკრულებებს CENTO-ის ყოფილ წევრებთან თურქეთთან და პაკისტანთან. მოვლენები, რომლებიც ორგანიზაციის არსებობამ გამოიწვია კლასიფიცირდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად წარმატებული ალიანსი, რომელიც შეიქმნა ცივი ომის დროს. ახლო აღმოსავლეთის წევრთა ეროვნული არასტაბილურობა სასიკვდილო აღმოჩნდა ცენტრის წარმატებისა და არსებობისთვის.

ამრიგად „ბაღდადის პაქტი“ და CENTO თითქმის 25 წლის განმავლობაში გაგრძელდა, როგორც ცივი ომისალიანსი, რომლის მიზანი რეგიონის დაცვა იყო საბჭოთა კავშირის გავლენისა და ექსპასიონიზმისგან, ხოლო მისი წევრების, როგორც პროდასავლური ანტიკომუნისტური ბასტიონების პოზიციის გაუმჯობესების მიზნით. [14]

2.2. აზიური საწყისების ქვეყანა თურქეთი-ნატოს ერთ-ერთი აქტიური წევრი

თურქეთი ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი ქვეყანაა რომელიც წარმოდგენილია ნატოში 1952 წლიდან. ნატოსთვის თურქეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანას წარმოადგენს, ისევე, როგორც პირიქით. თურქეთი წარმოადგენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელს, საბჭოთა კავშირის მოსაზღვრეც იყო ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს. ასევე ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებსაც ესაზღვრებოდა, შესაბამისად ნატოს არ აწყობდა მასთან ცუდი დამოკიდებულება, რადგან შესაძლოა ადვილად მოქცეულიყო საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ.

[14] „A short introduction to the Baghdad pact-when Britain and Iran were allies“. p.1. https://ukdefencejournal.org.uk/a-short-introduction-to-the-baghdad-pact-when-britain-and-iran-were-allies/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

ინტეგრაციის შემდეგ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი თურქეთის უსაფრთხოებაში მთავარ როლს თამაშობდა, რამაც ხელი შეუწყო მის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ საზოგადოებაში. სანაცვლოდ თურქეთმა აიღო პასუხისმგებლობა ალიანსის საერთო ღირებულებების დასაცავად. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ევროატლანტიკურ სივრხეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში და მისი წევრებისთვის საინტერესო თემების ფორუმისთვის პოლიტიკურ-სამხედრო კონსულტაციებისთვის.

აღსანიშნავია თურქეთის როლი ავღანეთში. სადაც თურქეთი ერთადერთია რომელიც ქვეყნის გადარჩენაში მეორედ მონაწილეობს. ჯერ კიდევ ათათურქის პერიოდში 1920 იანი წლების ბოლოს თურქეთის ჯარები სახელმწიფო შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბებაში ეხმარებოდნენ. თურქი ოფიცრების ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება ავღანელებს წვრთნებში საკმაოდ დიდ დახმარებას უწევდა. თურქეთია არმია პირადი შემადგენლობით ამ ბლოკის არმიებს შორის, სიდიდთ მეორე ადგილზეა აშშ-ს შემდეგ. ამავე პერიოდში თურქეთში დაიწყო სამხედრო მრეწველობის შექმნა. ეს პროცეს შეფერხდა 1952 წელს, როდესაც თურქეთი ნატოს წევრი გახდა, რადგან ქვეყანამ დაიწყო ნატოს სტანდარტებზე მორგება და ძირითადად ამერიკული ან დასავლეთევროპული სამხედრო ტექნიკით მარაგდებოდა.

1974 წელს თურქეთმა ნატოს მოკავშირეების დაუკითხავად მოახდინა კვიპროსის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაცია, რასაც აშშ-გან მოჰყვა ცუდი რეაქცია და დაწესდა ემბარგო იარაღისა და სათადარიგო ნაწილების მიყიდვაზე, რამაც თურქეთი იძულებული გახადა სამამულო ტექნიკის წარმოება განეახლებინა. მართალია ეს ემბარგო მალევე მოიხსნა, მაგრამ თურქეთმა დააჩქარა ადგილობრივი სამხედრო მრეწველობის განვითრება და სახელმწიფო სექტორიდან კერძოშიც მალე გადავიდა.

თურქეთი მხარს უჭერს ნატო-ს ტრანსფორმაციის მცდელობებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის წარმატებისთვის. ამიტომ მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნატოს რეაგირების ძალებში. სტამბოლში შეიქმენა

ძალების სარდლობა მაღალი მზადყოფნის დონეზე. ნატოს ახალი სარდლობის სტრუქტურის ფარგლებში იზმირში საჰაერო სარდლობა სახმელეთო სარდლობით შეიცვლება.

1998 წელს შეიქმნა ნატოს ცენტრი „პარტნიორობა მშვიდობის სწავლების ცენტრი“, თურქეთის გენერალურ შტაბში, ნატო-ს პარტნიორი სახელმწიფოების, ტრენინგისა და ურთიერთთანამშრომლობის მცდელობები. ცენტრი ატარებს სტრატეგიული და ტაქტიკური დონის ტრენინგებს პარტნიორი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისთვის.

2011 წელს ანტისახელმწიფოებრივმა პროცესებმა არაბული ქვეყნები დაატრიალა, თურქეთი სტაბილურობისა და ისლამური დემოკრატიის მოდელი გახდა.

2016 წლიდან სირიაში სამხედრო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა საკუთარი სამხედრო ტექნიკის არქონის შემთხვევაში, მაგრამ მას ავიაცია ძირითადად ამერიკული ჰქონდა, ხოლო ტანკები-გერმანული. 2017 წელს თურქეთს არმიის შეიარაღებაში ჰქონდა 238 F-16, და 36 F-4 ამერიკული თვითმფრინავი, 55 ამერიკული „კობრა“-შ შვეულმფრენი, 20 თურქეული შვეულმფრენი, 17 ფრეგატი და 23 სწრაფშემტევი კატარღა, თურქულ-გერმანული წარმოების 13 ცალი წყალქვეშა ნავი, ასევე ფრანგულ-თურქული წარმოების 9 რაკეტმზიდი, ოთხი ათასზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი და 1280 ცალი ტანტი რომელიც იყო გერმანული და ამერიკული ერთად. თვითმოძრავი არტილერია კი სამხრეთ თურქეთისა და კორეული წარმოების.[15]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაწევრიანების დღიდან ნატო მთავარ როლს ასრულებს თურქეთის უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ევროსტრუქტურებისკენ გზის გაკვლევის საქმეში, ამის სანაცვლოდ თურქეთიც ასრულებს მასზე დაკისრებულ

[15] K. Kirisci. Turkey and West. Fault Lines in a Troubled Alliance (Geopolitics in the 21 st Century) Hardcover-Deceber 12, 2017. pp.157-160.

მოვალეობებს. ნატოს განვითარებასთან ერთად მისი მოკავშირეებიც ვითარდებიან და ეგებიან შეცვლილ გარემოს. თურქეთის მონაწილეობა ალიანსის მისიებში გასაკვირი არაა, იმის გათვალისწინებით, რომ მას ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს აქ. იგი ნატონ ოპერაციებში მონაწილეობდა კოსოვოში, სადაც დღემდეა სამხედრო ბაზა, ასევე ერაყის მისია 2004-11 წლებში, ასევე ლიბიის კონფლიქტში ჩართულობა 2011 წელს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ISAF -ის მისია ავღანეთში, სადაც დიდია ნატოს წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების ჩართულობა. თურქეთი ავღანეთში მეთვალყურეობს მთელს ტერიტორიას ქაბულის ჩათვლით. ზოგადად ავღანეთი დაყოფილია ალიანსის წევრი ქვეყნების კონტროლირებად სექტორებად.

მართალია თურქეთი ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია, მაგრამ მისიებში მონაწილეობასთან ერთად ის ყველაზე ხშირად საჭიროებს სამხედრო დახმარებას. სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, მან ირანისგან ითხოვა საფრთხისაგან დაცვა, 2003 წელს ერაყის ომის დროს უსაფრთხოებისთვის. ბოლო დახმარება თურქეთმა ნატოსგან მიიღო 2014 წელს, როდესაც სირიის მხრიდან განხორციელდა შეტევა ქვეყანაზე. [16]

2015 წლის ნოემბერში რუსული მზვერავის ჩამოგდებამ სირია-თურქეთის საზღვართან, გამოიწვია მათი ურთიერთობების დაძაბვა. ამას ცუდად არ უმოქმედია ნატო-თურქეთის ურთიერთობებზე, რადგან ყველანაირი პასუხისმგებლობა ალიანსმა თურქეთს დააკისრა და განზე გადგა. სამაგიეროდ 2016 წელს ერდოღანის რეჟიმის წინაღმდეგ გადატრიალების მცდელობამ, რომელიც მარცხით დამთავრდა შეასრულა ნეგატიური როლი ალიანსსა და თურქეთს შორის. ურთიერთობა იმ დონეზე დაიძაბა, რომ ნატოში ფიქრობდნენ ურთიერთობების გადახედვას თურქეთთან მიმართებაში. გადატრიალების შედეგებს ნეგატიურად განიხილავდა ამერიკის შეერთებული შტატებიც და ფიქრობდა, რომ შესაძლო ურთიერთობების დაძაბვა შეიძლებოდა

[16] „Why Is Turkey in NATO Anyway?“ p.1. https://www.theatlantic.com/politics/archive/2019/10/turkey-and-nato-troubled-relationship/599890/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06,2020)

მოყოლოდა ქვეყანაში შიდა არასტაბილურ მდგომარეობას. ასევე ნატოს წევრობად შეიძლებოდა დაჯდომოდა თურქეთს ეს არეული ვითარება, რადგან ნატოს ერთ-ერთი მოთხოვნა დემოკრატიული ინსტიტუტების პატივისცემაა ქვეყანაში.

15 ივლისის გადატრიალების მცდელობამ თურქეთზეც და ნატოზედ დიდი გაცლენა მოახდინა. თუმცა მაინც არ განიხილება ქვეყნის მიერ ალიანსის დატოვება. გადატრიალების სავარაუდო ორგანიზატორს აშშ-ი მფარველობას უწევდა და თურქეთს არც ეს გამორჩენია. ამიტომ მათი ურთიერთობები გართულდა. იგი ნატოსგანაც ელოდა მხარდაჭერას, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ იგი ნატოს აღარ ენდობოდა, ქვეყნის აზრით აშშ-მაც და ნატომაც იცოდა რა საფრთხის წინაშე იდგა თურქეთი და არაფერი მოიმოქმედეს ამის შესაჩერებლად და უფრო მეტიც, მხარდაჭერაც კი არ გამოუცხადეს მას.

2018 წლის 8 ივლისსში ოფიციალურად თურქეთმა ბოდიში მოიხადა რუსული მზვერავის ჩამოგდებაზე და მზადყოფნა განაცხადა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების აღდგენისთვის. ცხადია, რომ ამ ქმედებაზე გავლენა სწორედ გადატრიალების შედეგია, რადგან თურქეთი აზიისკენ სწორედ ამის შემდეგ შემობრუნდა. ამავდროულად ირანმა, თურქეთმა და რუსეთმა გააფორმეს შეთანხმება სირიაში მშვიდობის დასამყარებლად, ნატოსა და აშშ-ს გვერდის ავლით. მაგრამ რუსეთის ელჩის მკვლელობამ თურქეთში სიტუაცია ისევ არია. ეს ფაქტი შეფასდა, როგორ ორ ქვეყანას შორის დალაგებული ურთიერთობის გაუარესების მიზნით მოწყობილი პროვოკაცია.

ბოლო პერიოდში, სირიის სამოქალაქო ომისა და ისლამური სახელმწიფოს გაძლიერების ფონზე თურქეთი შეუცვლელ სტრატეგიულ პარტნიორად რჩება ნატოსთვის თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და ტერორიზმთან ბრძოლის დიდი გამოცდილებით. ამავდროულად ნატო რეგიონის სხვა ქვეყნებშიც ცდილობს იმუშაოს. 2018 წლის 12 ივლისს ნატოს სამიტზე მიიღეს ერაყში ნატოს ახალი საწვრთნელი მისიის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც კანადა ჩაუდგება

სათავეში. ამ მისიაში ნატოს წევრი ქვეყნების რამდენიმე ასეული ინსტრუქტორი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც მოამზადებენ სამხედრო სკოლებსა და აკადემიებში ერაყელ ოფიცრებს. [17]

თურქეთი მიესალმება ნატო-სა და ევროკავშირს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას. ეს პარტნიორობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთდახმარებას, კომპემენტარობასა და გამჭვირვალობას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს არსებული რისკებისა და საფრთხეების უფრო ეფექტურად მოგვარებას. თურქეთის მიდგომა ნატო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე ბუნებრივი შედეგია მისი ნატოში გაწევრიანებისა და ევროკავშირის წევრობის პერსპექტივაზე. თურქეთი თვლის, რომ დასავლეთ ბალკანეთის ყველა ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისა და სტაბილურობის გასაღები, ამიტომ თურქეთი ნატოში მაკედონიისა და ბოსნია ჰერცოგოვინას წევრობასაც უჭერს მხარს, ასევე უსაფრთხოების შეუქცევად გაძლიერებას კოსოვოში, ხოლო ურთიერთობების ნორმალიზებას სერბეთსა და კოსოვოს შორის.

იმის გაგებით, რომ ევროპული უსაფრთხოება ვერ დაშორდება ხმელთაშუა უსაფრთხოებას, თურქეთი იმ მოსაზრებასაც იზიარებს, რომ ხმელთაშუა დიალოგი უნდა გაძლიერდეს იმ ადგილებში, სადაც ნატო-ს შეუძლია დამატებითი ღირებულებების მოტანა.

[17] N. Eren. Turkey. NATO and Europe: a deteriorating relationship?. 1977y. pp. 35-44

2.3. ოპეკი-ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანება და ახლო აღმოსავლეთი

1960 წელს ახლო აღმოსავლეთში დაიბადა იდეა „ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიცაციის“ – (OPEC) შექმნის შესახებ, რომელიც ქალაქ ბაღდადში ირანმა, ერაყმა, საუდის არაბეთმა, ქუვეითმა და ვენესუელამ დააარსეს. ამ ორგანიზაციის შექმნა ნავთობით მდიდარი, მაგრამ სუსტი ქვეყნების მიერ დასავლური კორპორაციების მტაცბლური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოხდა. ის არის საერთაშორისო ეკონომიკური, გაერთიანება, რომელიც კარტელის ხელოვნურად შემცირებული ფასების პოლიტიკასთან საბრძოლველად შეიქმნა. ის აერთიანებს ალჟირს, ანგოლას, ქუვეითს, ირანს, ერაყს, ნიგერიას, კატარს, ლიბიას, ქუვეითს, ვენესუელას, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ეკვადორსა და საუდს არაბეთს.

ორგანიზაციის მთავარ მიზანს წესდების მიხედვით წარმოადგენს მისი წევრი ქვეყნების ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესების ოპტიმალური დაცვის საშუალებების განსაზვრა, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზარზე ფასების სტაბილიზაციის უზრუნველყოფას. მისი მიზანი ასევე საქმიანობის კოორდინაცია და ზოგადი პოლიტიკის ფორმულირებაცაა, ორგანიზაციის წევრებს შორის საერთო პოლიტიკის განვითარებასთან ერთად. ნავთობის მწარმოებელ ქვეყანათა ინტერესების მუდმივი დაცვა გამოიხატება მათთვის სტაბილური შემოსავლის მოტანაში.

OPEC-ის ამოცანებია: პირველ რიგში რა თქმა უნდა, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვა; ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ფასების სტაბილურობის შენარჩუნება; ნავთობის სხვა ქვეყნებისთვის რეგულარული მიწოდების უზრუნველყოფა; ნავთობის გაყიდვის შედეგად სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფა ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვის; ნავთობის წარმოებისა და რეალიზაციის ტრატეგიების განსაზღვრა; ნავთობის წარმოების კვოტის დადგენა; ის ასევე მზადაა ნავთობის კრიზისისთვისაც, შეიქმნა სარეზერვო ფონდი, რომელიც 1999

წელს დაფუძნდა და მოიცავს ნავთობის მარაგს (801 998 000 ბარელი), რავ მსოფლიო ნავთობის რეზერვების 76 პროცენტია. [18]

1976 წელს ორგანიზაციამ დააფუძნა სართაშორისო განვითარების ფონდიც. ეს მრავალმხრივი საფინანსო სისტემაა განვითარების სფეროში, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უწყობს ხელს თანამშრომლობაში, როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა განვითარებად ქვეყნებთან. ეს ფონდი ასევე საკუთარ თავზე იღებს წევრი ქვეყნებისსთვის შეღავათიან სესხებს, რომლებიც სამი მიმართულებით გაიცემა. პროექტების, პროგრამებისა და საგადამხდელო ბალანსის მხარდასაჭერად.

OPEC-ის ფუნქციონირების სტრუქტურის შემადგენლობაში შედის ეკონომიკური კომისია, სამდივნო, გენერალური მდივანი, კომიტეტი და მმართველთა საბჭო, წევრი სახელმწიფოების ენერგეტიკის მინისტრები წელიწადში ორჯერ იკრიბებიან, რათა შეაფასონ ნავთობის საერთაშორისო ბაზარი და დასახონ სამომავლო განვითარების გეგმები. ამ შეხვედრაზე წლიური ანგარიშის ერთგვარი შეჯამება კეთდება და ასევე იგეგმება წლის სამოქმედო გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბაზრის სტაბილიზაცია. გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად.

ორგანიზაციის შტაბ-ბინა თავდაპირველად ჟენევაში იყო, ხოლო 1965 წლის 1 სექტემბერს ის ვენაში გადაიტანეს. ორგანიზაციის გენერალური მდივანი აბდალა სალემ ალ-ბადრია 2007 წლიდან. მისი წევრი ქვეყნები აკონტროლებენ მსოფლიოს ნავთობის დადასტურებული მარაგის დაახლოებით 2/3-ს. მათ წილზე მსოფლიო ნავთობის წარმოების 40 პროცენტი მოდის, ხოლო ნავთობის მსოფლიო ექსპორტის ნახევარი. ოფიციალური სამუშაო ენა ინგლისურია.

ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიწოდება და მოპოვების მოცულობა ფასების პოლიტიკასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ნავთობის ფასს ყოველთვის შშ

[18] P.Hallwood, S. Sinclair. OPEC`S Developing Relationships with the Third World. International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944) spring 1982. pp. 58-62

დოლარებში ანგარიშობენ ერთი ბარელისთვის, რომელიც მოიცავს დაახლოებით 159 ლიტრს და გამოიყენება საზომ ერთეულად. ერთი მეტრული ტონა ნავთობი საშუალოდ 6.3 ბარელია. 1861 წლიდან 1970 წლების დასაწყისამდე ღირებულება არასდროს გადაცილებია 2 დოლარს ბარელისთვის. მის მასზე გავლენას ვერ ახდენს ვერც მსოფლიო და ვერც ლოკალური ომები, შესაბამისად ვერც ეკონომიკური კრიზისები.

1973 წელს ნავთობის „მსოფლიო ფასების რევოლუცია“ პირველად მოხდა. ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომმა, არაბული ქვეყნების ემბარგოს მისცა ბიძგი „პროისრაელურ“ დასავლეთ ევროპაში ნედლი ნავთობის გატანაზე, რასაც მოჰყვა პანიკა მსოფლიო ბირჟებზე და შესაბამისად დაკარგეს ფასის კონტროლიც. [19]

ორგანიზაციის მთავარი მიზანი წესდების მიხედვით მისი წევრების ინდივიდუალური და კოლექტური ინტერესების ოპტიმლურად დაცვის საშუალებების განსაზღვრაა, რაც ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ფასების სტაბილიზაციის გამონახვას ითვალისწინებს. მისი მიზანი ეკონომიკური თვალსაზრისით არის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფა წევრი ქვეყნებისთვის და მომგებიანობის გარანტიის მიცემა კაპიტალზე მათთვვის, ვინც ამ ინდუსტრიაში ინვესტიციას დებს.

1973 წლის ბოლოს OPEC-მა თავისი ნედლეულისათვის უფრო მაღალ ფასს მიაღწია და ნავთობმომპოვებელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნების ელიტა გამდიდრდა. ორგანიზაციის გავლენა ნავთობის ფასების რეგულირებაზე შედარებით დაბალია მექსიკის ყურის და ჩრდილოეთ ზღვის ჭაბურღილების განცითარებასა და ბაზრის მოქნილობის ზრდის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ OPEC-ის ერთ-ერთი დანიშნულება, როგორც ზემოთ ვთქვით ნავთობის ბაზარზე ფასების დარეგულირებაა მოსალოდნელი გაუთვალისწინებლობის თავიდან ასაცილებლად, მისი დაარსებიდან დღემდე არც თუ ისე კარგად აითვისა ბაზარი. ხშირი შემთვევა იყო, როდესაც

[19] G. Garavini. The Rice and Fall of OPEC in the Twentieth Century Hardcover- September 4, 2019. pp. 34-36.

დაწესებული ბენზინის ფასი საგრძნობლად გაიზარდა, ან პირიქით შემცირდა. ამის მიზეზი გახდა წევრი ქვეყნების მიერ დაპირებულ კვოტებზე უარის თქმა.

ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია ნავთობის ფასის შენარჩუნებით დაბალ დონეზე, რადგან ამით უზრუნველყოს რენტაბელობა და ამავე დროს შეინარჩუნოს სამომხმარებლო დაბალი ფასი. ამიტომ ის საუდის არაბეთს სთხოვს ნავთობის წარმოების გაზრდას, რათა მსოფლიო ბაზარზე ფასმა დაიწიოს. მაგრამ აშშ-ს გავლენა ამ საკითხში მთავარი აღარაა.

ბოლო პერიოდში ორგანიზაციის არასწორმა ფუნქციონირებამ, დიდი საზრუნავი გაუჩინა მსოფლიოს ისედაც არამყარ ეკონომიკას. ეს გამოწვეულია იქიდანაც, რომ თვითონ წევრი ქვეყნებიც ეკონომიკურად არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში არიან. ნავთობის ფასმა დაიწია რეკორდული მაჩვენებლიდან 147 მლნ-დან 88 მლნ-მდე. კრიზისის დასაწყისში ყველაზე მსხვილმა საუდის არაბითის საფონდო ბირჟამ, თავისი ღირებულების 17 პროცენტი დაკარგა, კატარმა 19, ხოლო ირანი და ვენესუელა ყველაზე ნორმალურ სიტუაციაში იყვნენ, რადგან მათ ნავთობის დიდი მარაგი ჰქონდა. OPEC-ი იძულებული გაქდა სიტუაციის დასარეგულირებლად ნავთობზე ფასი გაეზარდა. ასეთი პირობებში სავარაუდო იყო, რომ ირანი წლიურად დაკარგავდა 50 ბილიონს, რაც 700-800 დოლარს უდრის ერთ სულ მოსახლეზე.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ნავთობის დადგენილი მსოფლიო მარაგის 61.5 პროცენტია, ძირითადად ეს მარაგი სპარსეთის ყურის ნავთობმომცემ პროვინციაშია თავმოყრილი. ყველაზე დიდი მარაგი, რომელიც საექსპორტოდ მზადდება აქვს კატარს, მაგრამ მოცულობით მაინც ნაკლებია. უდიდესი მარაგები აქვთ ირანს, საუდის არაბეთს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ქუვეითსა და ერაყს. თანამედროვე ტექნოლოგიებით ძიების შედეგან რეგიონის მარაგი კიდევ უფრო იზრდება. მართალია ნახშირბადის მარაგი ამოწურვადია, მაგრამ ამ საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს მოთხოვნილება მაინც დაკმაყოფილდება. ახლო აღმოსავლეთს დიდი უპირატესობა გააჩნია მსოფლიოს სხვა ნავთობმომპოვებელ რეგიონებთან შედარებით, გარდა იმისა,

რომ ის უდიდეს მარაგს ფლობს, მისი მოპოვება და გასაყიდან გატანა შედარებით იაფი უჯდებათ. გეოლოგიურად ისეა მოწყობილი ნავთობმომცემი ფენები, რომ დიდი ძალისხმევა მის მოპოვებაზე და მილადენში გაშვებაზე არ არის საჭირო. ნავთობი შადრევანის სახით ამოდის და არ ჭირდება სატუმბი საშუალება. განსაკუთებით სამხრეთ ირანში არის ადვილი მისი მოპოვება, სადაც ნავთობსადენები უფრო მაღლა მდებარეობს ვიდრე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები. აქ ნედლი ნავთობი თვითდინებით მიედინება.

რეგიონის ნავთობის სიიაფეს განაპირობებს ის, რომ მოპოვება ხშირად დაუსახლებელ ადგილებში ხდება. უდაბნოს მილსადენის მშენებლობა არ მოითხოვს ზედმეტ „თავის ტკივილს“ და არ ხდება სასოფლო-სამეურნეო და განაშენიანებული ადგილების გადაკვეთა. მნიშვნელოვანია ასევე იაფი მუშა ხელი, აზიის ქვეყნების მენავთობეები ბევრად ნაკლებ ანაზღაურებადები არიან, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებიდან ან დასავლეთ ევროპიდან მოსულები. სწორედ აქედან გამომდინარეა, სპარსეთის ყურის დასავლეთ ნაპირზე დაბალი თვითღირებულება.

ნავთობის მრეწველობა საკმაოდ დიდ როლს ასრულებს სპარსეთის ყურის ქვეყნების ეკონომიკაში, საკმარისია ითქვას, რომ ნავთობის წილი საუდის არაბეთი, ირანისა და ქუვეითის ექსპორტში 90-95 პროცენტს, ხოლო ერაყში კატარსა და არაბთა გაერთიანებულ სამიროებში ესპორტის 95-100 პროცენტია. ამ ქვეყნებმა სწორედ ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავლებით მიიღეს მოკლე დროში ეკონომიკის სწრაფი გარდაქმნა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ძალიან მაღალი დონის უზრუნველყოფა. სპარსეთის ყურის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას სწორედ ნავთობით სიმდიდრე განსაზღვრავს, მაგრამ ეს სიმდიდრე მეტწილად დაკავშირებულია ნახშირწყალბადების საბადოებთან, რომლებიც მიეკუთვნებიან გიგანტთა კატეგორიას.

ნავთობის საბადოებს გეოლოგიის სპეციალისტები ხუთ კატეგორიად ყოფენ, ესენია: წვრილი, რომელიც 10 მილიონ ტონამდეა; საშუალო - 10-15 მილიონი ტონა;

მსხვილი - 50-500 მილიონი ტონა; გიგანტური - 500-1000 მილიონი ტონა და უნიკალური- 1 მილიად ტონაზე მეტი. გიგანტური და უნიკალური საბადოების ყველაზე დიდი კონცენტრაცია არის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ხოლო ამ რეგიონის საზღვრებში კი პირველია სპარსეთის ყურის ნავთობ-გაზის აუზი.

2008 წლის მაისში ინდონეზიამ განაცხადა, რომ ის დატოვებს OPEC-ს როდესაც მის წევრობას აზრი აღარ ექნება, როცა გაჩნდება ნავთობის იმპორტიორი და ის ვეღარ დააკმაყოფილებს ორგანიზაციის წევრობას და მის მოთხოვნებს. 2008 წლის 10 სექტემბერს ორგანიზაციამ დაადასტურა ინდონეზიის ორგანიზაციიდან გასვლის განცხადება, მაგრამ ქვეყანამ განაცადა, რომ მას დაბრუნების სურვილი გააჩნია, იმ შემთხვევაში, თუ ის ისევ გახდება ნავთობის ექსპორტიორი. 2017 წლიდან ის აღარ მოიაზრება ნავთობის ექსპორტიორად, შესაბამისად მისი ისევ წევრობა განხილვის სტადიაშია. ამავე წელს (2017) ყატარმა დააანონსა ორგანიზაციის დატოვება, მაგრამ დღემდე მისი წევრია. დღეის მონაცემებით OPEC-ში თორმეტი ქვეყანაა გაერთიანებული. [20]

[20] ოპეკი-მსოფლიოს მთავარი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყნები. გვ.1. http://intermedia.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

თავი III. არაბული ქვეყნებისა და ისლამური სამყაროს საერთაშორისო ორგანიაზციები და მათი პოლიტიკური ინტერსები რეგიონში

3.1. არაბული სახელმწიფოების ლიგა და ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო, როგორც რეგიონული ძალები

1945 წელს დაარსებული არაბული სახელმწიფოების ლიგა არის უძველესი საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოში, რომელიც გაეროს შექმნასაც კი წინ უძღვის. შვიდი ქვეყნით დაწყებული (ერაყი, ეგვიპტე, ლიბანი, სირია, საუდის არაბეთი, ტრანსიორდანია და იემენი), ლიგა მოიცავდა არაბთა ოცდაორ ქვეყანას. არაბული ლიგა შეიქმნა არაბულ წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გასაძლიერებლად, რათა ხელი შეუწყოს ყველა წევრი ქვეყნის კეთილდღეობას და იმუშაოს საერთო მიზნებისკენ, ხოლო თითოეული წევრის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი დაიცვას. დღეს ლიგა წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა, არაბულ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმს. ლიგა ასევე უზრუნველყოფს ფორუმს არაბული სახელმწიფოებისთვის საერთო საკითხების განხილვისა და კოორდინაციის საკითხებზე. მაგრამ როგორც ერთი მაგალითი, წევრმა სახელმწიფო ლიბანმა რიგგარეშე შეხვედრის დროს 2013 წლის იანვარში მოუწოდა წევრებს სირიაში კონფლიქტის შედეგად გაქცეული ლტოლვილების მდგომარეობის შეფასებისთვის.

დაარსებიდან ცოტა მოგვიანებით ლიგას შეუერთდნენ სხვა არაბული ქვეყნები პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მეთაურობით. ლიგის შექმნის მიზანი იყო არაბული ტერიტორიების გაერთიანება ერთი სახელმწიფოს პრინციპით. მისი წევრები ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მხარს

პალესტინის განმათავისუფლებელ მოძრაობას უჭერდნენ. ლიგის უმაღლესი ორგანო ლიგის საბჭოა, რომელშიც წევრი ქვეყნების ერთი წარმომადგენელია გაერთიანებული. ლიგის ტრუქტურაში ასევე სამდივნო, თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტი, ეკონომიკური საბჭო და სხვა კომიტეტებიც შედიან. [21]

1950 წლიდან ლიგას მიენიჭა დამკვირვებლის სტატუსი გაეროს ეგიდით. მის წევ ქვეყნებს შორის არ არის ერთი აზრი და პოლიტიკური ხედვა. ისინი პროდასავლური ორიენტაციის სახელმწიფოებს წარმოადგენენ. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით ეს ლიგა ფორმალური ხასიათის გაერთიანებად მოიაზრება. 1967 წელს, როდესაც ისრაელმა არაბები დაამარცხეს ლიგის წევრების შეფასება ისრაელის კონფლიქტში ისევ ორად გაიყო. ერაყი, ალჟირი და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია ეგვიპტესა და იორდანიის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელმოწერას შეეწინააღმდეგნენ, რომელიც აშშ-მა შეიმუშავა.

1979 წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რის შემდეგაც ლიგის წევრებმა მოითხოვეს ეგვიპტის გაძევება კავშირიდან. 1989 წელს ეგვიპტე ლიგაში ისევ დაბრუნდა. 1990-91 წლებში კი განხეთქილება მოჰყვა სპარსეთის ყურის კონფლიქტს ლიგაში.

მიუხედავად იმისა, რომ არაბული ლიგის დამფუძნებელი წესდების ნაწილი არ არის ადამიანის უფლებები, გარკვეულწილად ეს საკითხი წლების განმავლობაში აქტუალური გახდა ლიგის საქმიანობაში. ჯერ კიდე 1960 წელს, არაბთა იურისტთა კავშირი ლობირებდა ლიგას, რომ მიეღო „ადამიანის უფლებათა არაბული კონვენცია“ 1994 წელს მხარეებმა შეიმუშავეს წესდების საწყისი ვერსია, მაგრამ მისი რატიფიცირება ვერ მოხერხდა და ის ძალაში არ შესულა. მეორე ვერსია დამუშავდა 2004 წელს და საბოლოოდ 2008 წელს შევიდა ძალაში, მას შემდეგ რაც მეშვიდე არაბულმა სახემწიფომ მოახდინა რატიფიკაცია. მუხედავად იმისა, რომ ქარტია

[21] SH. Telhami. The World Through Arab Eyes: Arab Public Opinion and the Reshaping of the Middle East. 29 March. 2015 y. pp. 265-270.

გააკრიტიკა არაბულმა სამოქალაქო საზოგადოებამ, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელოვანი გზა, იგი არ აღიარებს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. იგი ასევე აფუძნებს ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელ არაბულ კომიტეტს, რომელსაც ევალება სახელმწიფობის რატიფიკაციის საფუძველზე წარდგენილი მოხსენების განხილვა ყოველ სამ წელში ერთხელ.

2001 წლის არაბთა აჯანყების შემდეგ, სამოქალაქო საზოგადოებრივი წარმომადგენლები სულ უფრო მეტად ცდილობდნენ არაბული ლიგის ჩართვას ადამიანის უფლებების კუთხით დარღვევებში. მათ ლიგას მოუწოდეს, უზრუნველეყოთ სირიის მთავრობაზე უფრო ეფექტური სანქციების დაწესება საეჭვო ომის გამო, და მოეწყოთ დისკუსიები ეგვიპტის სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებსა და მაჰმადიანური საძმოების მომხრეებს შორის.

არაბული სამოქალაქო საზოგადოება ცდილობდა არაბული ლიგის ადამიანის უფლებების დაცვის მანდატის ეფექტურად განხორციელებას და წესდების შეცვლას ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. 2013 წლიდან მიმდინარეობს მცდელობები არაბული ლიგის წევრი სახელმწიფოებისთვის ადამიანის უფლებების რეგიონალური სასამართლოს შექმნისთვის, რომლებიც მოქმედებენ ქარტიის ფარგლებში. არაბულმა ლიგან საბოლოოდ მიიღო წესდება ადამიანის უფლებათა არაბული სასამართლოსათვის 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ ეს სასამართლო არ ფუნქციონირებს. [22]

არაბულმა ლიგამ აჩვენა მზარდი მუშაობა სამოქალაქო საზოგადოებასთან. რიაჰის დეკლარაცია, რომელიც გამოიცა საუდის არაბეთში 2013 წლის არაბული ლიგის სამიტის შემდეგ, მოიცავდა სპეციალურ მხარდაჭერას სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის განვითარებაში და ხაზს უსვამს ძალისხმევას, რათა

[22] რ. გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა); გვ.167-172.

შეიქმნას მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოებრივ-სამთავრობო თანამშრომლებთან უფრო მეტი თანამშრომლობისათვის.

2019 წლის მარტში, კანონის და დემოკრატიის ცენტრმა, გამჭვირვალობის მაროკმა, პალესტინის განვითარებისა, მედიის თავისუფლების ცენტრმა და Maharat Foundation- მა წამოიწყეს ქარტია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ტუნისში გაიმართა. ქარტიამ დააწესა მინიმალური სტანდარტები, თუ რა უნდა გააკეთოს არაბულმა ლიგამ სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამის მიუხედავად, საკითხავია, თუ რამდენად აქტიურად მოქმედებენ არაბული ლიგის წევრები ბოლოდროინდელი წინადადებების განსახორციელებლად.[23]

კიდევ ერთი აქტიური გაერთიანება რეგიონში არის ყურის თანამშრომლობის საბჭო, ახლო აღმოსავლეთის ექვსი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ალიანსი, რომლის წევრებიც არიან ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, ყატარი, ბაჰრეინი და ომანი. საბჭო დაარსდა საუდის არაბეთის რიაჰში, 1981 წლის მაისში. მისი მიზანია წევრ სახელმწიფოთა შორის ერთიანობის მიღწევა მათი საერთო მიზნებისა და მათი მსგავსი პოლიტიკური და კულტურული თვითმყოფადობის საფუძველზე, რაც ფესვგადგმულია არაბულ და ისლამურ კულტურებში. საბჭოს თავმჯდომარე ყოველწლიურად იცვლება წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის.

ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC) წესდების ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი- მე-4 მუხლია, სადაც ნათქვამია, რომ ალიანსი შეიქმნა წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გასაძლიერებლად და ქვეყნების მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად. GCC-ს აქვს თავდაცვის დაგეგმვის საბჭო,

[23] T. M. Almutairi. and D. Kruckeberg. Relations in the Gulf Cooperation Council Countries: An Arab Perspective (Routledge New Directions in PR & Communication Research. apr.5. 2019y. pp.77-85.

რომელიც კოორდინაციას უწევს წევრ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრობლობას. საბჭოს უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები პირი არის უზენაესი საბჭო, რომელიც იკრიბება ყოველწლიურად და შედგება კომიტეტის სახელმწიფო მეთაურებისგან. უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად დამტკიცებით. მინისტრების საბჭო, რომელიც შედგება საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მთავრობეის სხვა წარმომადგენლებისგან, ხვდება ყოველ სამ თვეში უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებების განსახორციელებლად და ახალი პოლიტიკის შემოთავაზებისთვის. ალიანსის ადმინისტრაციული მხარეა გენერალური სამდივნოს ოფისი, რომელიც აკონტროლებს პოლიტიკის შესრულებას და აწყობს შეხვედრებს.

GCC-ს შეთანხმებები, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების ან ეკონომიკურ კოორდინაციაზე. უსაფრთხოების კოორდინაციის თვალსაზრისით, პოლიტიკა მოიცავდა 1984 წელს ნახევარკუნძულის ფარის ძალების შექმნას, საუდის არაბეთში დაფუძნებული ერთობლივი სამხედრო საწარმოს და 2004 წელს სადაზვერვო განაწილების პაქტის ხელმოწერას. ნახევარკუნძულის ფარის ძალების მნიშვნელოვანი განლაგება 2011 წელს ბაჰრეინში, მთავრობის ინფრასტრუქტურის დასაცავად, არაბული გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს იყო. ეკონომიკური კოორდინაცია მოიცავდა ეკონომიკური კავშირის მცდელობებს, თუმცა ინტეგრაციული ხელშეკრულებები ხშირ შემთხვევაში პოლიტიკის კოორდინაციასთან შედარებით უღიმღამო იყო. ევროკავშირის მიერ ერთიანი რეგიონალური ვალუტის დაარსების შესახებ შეთანხმებამ, 2010 წელს, მცირედი მოძრაობა გამოიწვია 2009 წელს მონეტარული საბჭოს შექმნის გარდა. საგადასახადო პოლიტიკაში კოორდინაცია ნაყოფიერი აღმოჩნდა, თუმცა 2015 წელს საბაჟო კავშირი განხორციელდა, ხოლო წევრმა სახელმწიფოებმა დააწესეს 2018 წელს დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც 5 პროცენტით განისაზღვრა.

საუდის არაბეთმა და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა პოლიტიკის კოორდინაციისკენ მიდრეკილება დაიწყეს. ისინი იყვნენ პირველი ქვეყნები,

რომლებმაც ჯარი გააგზავნეს ბაჰრეინში 2011 წელს და პირველები, რომლებმაც დამატებითი ღირებულების გადასახადი დააკისრეს.

მიუხედავად იმისა, რომ GCC-ს წევრობა მისი პირველი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დარჩა თანმიმდევრული, რეგიონალურ ურთიერთობებში ცვლილებები გამოიწვია წევრობაში ცვლილებების სპეკულაცია. მისი გაფართოება შესაძლებელი გახდა, როდესაც ყურის ქვეყნების ინტერესები სხვა არაბული სახელმწიფოების ინტერესს შეესაბამება. იორდანია და მაროკო, ორი სხვა არაბული მონარქია, მიიწვიეს 2011 წელს საბჭოში გასაწევრიანებლად, არაბული გაზაფხულის ამბოხების შუაგულში. მაროკომ უარი განაცხადა, ხოლო იორდანიამ თავისი პასუხი შეაყოვნა საბჭოს შიდა უთანხმოების გამო. [24]

2017 წელს ეგვიპტემ და მისმა თანამეგობრობის წევრებმა, საუდის არაბეთმა, არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა და ბაჰრეინმა ყატარის წინააღმდეგ ბლოკადა მიიღეს. საბჭოში დაძაბულობა კი ამით შენელდა.

3.2. „ისლამური სახელმწიფოების ლიგა“- ისლამური ერთობისა და ისლამური სოლიდარობისთვის ახლო აღმოსავლეთში

მუსლიმთა მსოფლიო ლიგა (MWI), საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1962 წელს, ისლამის პროპაგანდისთვისა და რელიგიის მსოფლიო გაგების გასაუმჯობესებლად. მისი სათაო ოფისია ქალაქ მექაში, საუდის არაბეთში და ოფისებს ინარჩუნებს მსოფლიოს ქვეყნებში.

[24] „Gulf Cooperation Council“. p.1. https://www.britannica.com/topic/Gulf-Cooperation-Council (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

1963 წელს მიიღეს ლიგის წესდება. ოფიციალურად კი ის 1965 წლის 17 აპროლს დამტკიცდა მექაში, საერთო ისლამურ კონფერენციაზე.

MWI მუშაობს ისლამური მასმედიის გასაუმჯობესებლად, როგორც ისლამისა და ისლაური კულტურის პროპაგანდის საშუალება, აწყობს სიმპოზიუმებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ხელს უწყობს არაბულის სწავლებას და ცდილობს ისლამურ რელიგიურ გაერთიანებებს შორის უკეთესი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მისი შვილობილი ორგანოს, საერთაშორისო ისლამური დახმარების ორგანიზაციის მეშვეობით, ორგანიზაცია დახმარებას უწევს მუსმიმებს, რომლებიც დაზარალებულნი არიან ომით და სტიქიური უბედურებით.

ორგანიზაციის მიზნები საკმაოდ მრავლისმომცველია, მისი ერთ-ერთი მიზანია ისლამური ერთობისა და სოლიდარობის შემდგომი განმტკიცება და ისლაური კულტურის, ისლამური მოძღვრებისა და იდეოლოგიის გავრცელება. ასევე, მუსლიმი ხალხების უფლებებისათვის ბრძოლა და მხარდაჭერა, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დამყარებული მსოფლიო მშვიდობისა და თანამშრომლობის მხარდაჭერაც. მისი კიდევ ერთი მიზანია ყურანის ცოდნისა და მისი ღირებულებების გავრცელება, მუსლიმთა პოლიტიკისა და საქმიანობის კოორდინაცია, მუშაობა საერთაშორისო მშვიდობის განსამტკიცებლად.

MWI ინარჩუნებს საკონსულტაციო სტატუსს იუნესკოსთან (გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია), იუნისეფთან (გაეროს ბავშვთა დონდი) და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან.

ლიგის სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, მასში შედის საერთო ისლამური კონფერენცია, რომელსაც ესწრება მთელი მსოფლიოს რამდენიმე ასეული მუსლიმი მეცნიერი, მწიგნობარი, ინტელექტუალი, სახელმწიფოთა მეთაურები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისლამური საქმიანობით და ეს კონფერენცია ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. ასევე შედის დამფუძნებელი კრება, რომელიც 62 წევრისგან შედგება და წელიწადში ერთხელ იკრიბება, ისლამური ფიკჰის -

იურესპრუდენციის საბჭო, რომელიც ასევე წელიწადში ერთხელ იკრიბება, საერთაშორისო ისლამური დახმარების ორგანიზაცია, ყურანის და სუნას კომისია და მეჩეთების მსოფლიო უზენაესი საბჭო. [25]

MWI-ის ყოველწლიურ მენეჯმენტს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელიც საკონსტიტუციო საბჭოს წარუდგენს გეგმას. ლიგას აფინანსებს საუდის არაბეთის მთავრობა, რომლის წილი 1980 წლისთვის დაახლოებით 13 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. საუდის არაბეთის დაფინანსების გამო, ლიგა საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც საუდის არაბეთში დაწინაურებული ისლამური პრონციპების წამომადგენელი.

ლიგის გენერალური მდივანია აჰმედ მუჰამად ალი. მას სამი თანაშემწე ჰყავს, მათ შორის ადმინისტრაციულ-ფინანსური და მეჩეთების საქმეებში. ორგანიზაცია ისლამის რელიგიის პროპაგანდას ეწევა, ხელს უწყობს დაჰას და არამუსლიმთა გადაქევას მუსლიმებად. მის ყოველდღიურ საქმიანობაში ყურანისა და სხვა რელიგიური წიგნების თარგმნაც შედის სხვადასხვა ენაზე. ისლამური ცენტრების დაარსება და მეჩეთების მშენებლობა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში.

MWI აფინანსებს მეჩეთების მშენებლობას, ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებილ მუსლიმებს, ყურანის ასლების განაწილებასა და პოლიტიკურ ტრაქტატებს მუსლიმანურ უმცირესობათა ჯგუფებზე, ახდენს სტუდენტების სტიპენდიების დაფინანსებას სხვადასხვა მუსლიმურ ქვეყნებში, აშენებს ობლების თავშესაფრებს ინდოეთში, უგანდაში, ბანგლასეშსა და ავღანეთის საზღვრებზე. მხარს უჭერს გაზეთებისა და ჟურნალების, ასევე რადიოსადგურების მუშაობას, რომლებიც ისლამზე არიან ორიენტირებულები.

[25] S. Fewer. The Muslim World League. Saudi Arabia`s Export of Islam, and Opportunities for Washington. November 2019. pp. 201-215.

ლიგის ოფიციალური ენები არის ინგლისური, ფრანგული და არაბული. მას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები. (Muslim World News, ახბარ-ალ-ალამ ალ ისლამი, The Call Of The Truth, The Journal, და ვათ ალ-ჰაკკ და მაჯალლათ რაბიტათ ალ-ალამ ალ-ისლამი).

მუსლიმთა მსოფლიო ლიგაში ნათქვამია, რომ ისინი უარყოფენ ძალადობის ყველა მოქმედებას და ხელს უწყობენ დიალოგს სხვა კულტურის ხალთან, მათი აზრით, ეს ქმედება უფრო შედეგიანი და ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ძალის გამოყენება და იძულება, შარიათის გაგების შესაბამისად, ისინი სადავო საკითხებისგან შორს არ არიან, რადგან ისინი იყვნენ ჰამასთან დაკავშირებული რამდენიმე ანტიტერორისტული გამოძიების საგანი, ასევე ალ ქაიდას და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციების გვერდითაც ხშირად მოიხსენიებიან.

2016 წლიდან მუსლიმთა მსოფლიო ლიგა საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც საუდის არაბეთის ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც ექსტრემისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას უძღვნის თავს. მთავრობების წარმომადგენლებმა შეაქეს მუსლიმთა მსოფლიო ლიგა იმის გამო, რომ იგი ვალდებულებას ასრულებს სიძულვილის, დაპირისპირებისა და ძალადობის საწინააღმდეგოდ, რომელიც მჭიდრო კავშირშია ექსტრემიზმთან.

მუსლიმური მსოფლიო ლიგა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ცივილიზაციურ დაახლოებაზე, კონტრუქციული დიალოგისა და ჩართულობის გზით. 2018 წელს დოქტორ ალ-ისამ განაცხადა, რომ „მუსულმანებიც და არამუსულმანებიც ვალდებული არიან მოითხოვონ ცივილიზაციური დაახლოება, რომელიც ხელს უწყობს და იზიარებს ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს“. ყოველწლიურად ლიგა იყენებს ჰაჯის სეზონს, რათა შეაგროვოს პატივცემული ისლამური ხმები. მეცნიერები და ლიდერები იკრიბებიან მექაში, საუდის არაბეთში, რათა გაცვალონ

მოსაზრებები და იმსჯელონ იმაზე, თუ როგორ მიაღწიონ უკეთეს სტანდარტებსა და გაზრდილ ისლამურ პრინციპებს მსოფლიოში. [26]

2019 წელს მუსლიმთა მსოფლიო ლიგამ დიდწილად შეუწყო ხელი მაქას ქარტიის კონცეფციისა და რეალიზაციის საკითხს, საეტაპო შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს მუსლიმების ისლამის ჭეშმარიტი, ზომიერი და ინკლუზიური პრინციპების უზრუნველყოფას. ამ ქარტიას ხელი მოაწერა 1,2-ზე მეტმა ისლამურმა მეცნიერმა და იმამის 139 ლიდერმა, ისტორიული შეკრების დროს. ქარტია მოიცავს 30 უნიკალურ პრინციპულ პუნქტს, რომლებიც მსოფლიოს მოუწოდებენ ექტრემიზმისა და სიძულვილის წინააღმდეგ, უსამართლობასთან და ჩაგვრასთან ბრძოლას. ქარტია ცდილობს გააძლიეროს თანასწორობის, რელიგიური ჰარმონიისა და ტოლერანტობის აუცილებლობა.

2019 წლის სექტემბერში, მუსლიმთა მსოფლიო ლიგა შეუერთდა საფრანგეთში ისლამის ფონდს, პარიზის კონფერენცია მშვიდობისა და სოლიდარობისთვის. სიმპოზიუმი გაფორმდა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის მემორანდუმით საფრანგეთში აბრაამული რელიგიების ლიდერებს შორის. მემორანდუმს ხელი მოაწერა საფრანგეთის მთავარმა რაბი ბატონმა ჰაიმ კორსიამ, ფრანსუა კლავიროლმა (საფრანგეთის ქრისტიანული საბჭოს პრეზიდენტი) მონსინიორ ემანუელ ადამააკისიმ (საფრანგეთის მართლმადიდებელი ეპისკოპოსების ანსამბლეის პრეზიდენტი) და დოქტორმა ალი -ისამ. შეთანხმების მოწმეთა შემადგენლობაში შედიოდა მოჩი ლევინი (ევროპელი რაბიელების კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტი), მამა ვინსენტ ფეროლი(საფრანგეთის ეპისკოპოსთა კონფერნციის მუსულმანებთან ურთიერთობის

[26] „Muslim World League“. p.1. https://www.britannica.com/topic/Muslim-World-League (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

ეროვნული სამსახურის დორექტორი) და ღალებ ბენჩიხი (საფრანგეთში ისლამის ფონდის პრეზიდენტი). [27]

3.3. ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია „ითო“ და „იკო“, მათი გამოწვევები თანამედროვე რეგიონულ პრობლემებში

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია „ითო“ დაარსდა 1969 წელს. მასში ახლო ამოსავლეთის რეგიონის ყველა ქვეყანაა გაწევრიანებული გარდა ისრაელისა და კვიპროსისა. იგი აერთიანებს მსოფლიოს 57 ქვეყანას, განსაკუთრებით მუსლიმურ ქვეყნებს.

ორგანიზაციის ნიშაა იყოს ერთი ორგანიზმი, ჰქონდეს გაეროსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციური ერთიერთობები, რათა დაიცვას მსოფლიოში არსებულ მუსულმანთა ინტერესები, გადაჭრას დავები და კონფლიქტები ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის. ისრაელის საკითხი არის ერთადერთი, რაც ორგანიზაციის ყველა წევრ-ქვეყანას აერთიანებს. ისინი მტრულად არიან განწყობილები ქვეყნის მიმართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კონსოლიდირებული მოქმედებების განხორციელების უფლება აქვთ მათ.

ითოს ძირითადი ორგანოებია:საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, ისლამური სამიტი, გენერალური სამდივნო, სამეცნიერო და ტექნოლოგიის, ეკონომიკისა და ვაჭრობის, საინფორმაცო და კულტურის სამი მუდმივი კომიტეტი. ასევე

[27] „Muslim World League“. p.1. https://www.arabnews.com/tags/muslim-world-league-mwl (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)

სპეციალიზებული ორგანოები ითოს ბანერ, მათ შორისაა ისლამური განვითარების ბანკი და ისლამური საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია.

ითო დაარსდა ისტორიული სამიტის გადაწყვეტილებით. ეს სამიტი მაროკოს სამეფოში ჩატარდა ოკუპირებული იერუსალიმის ალ აქსას მეჩეთის კრიმინალური ცეცხლის შემდეგ. ის არის არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ კლტურული, მეცნიერული, ტექნოლოგიური და განათლების საკითხებითაც დაკავებული. ორგანიზაცია არის გაეროს შემდეგ, მეორე უდიდესი ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს ოთხ კონტინენტს. ის მუსლიმური სამყაროს ერთიანი ხმაცაა და ცდილობს დაიცვას მათი ინტერესები მსოფლიოს სახლებს შორის საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებაში. ისლამისა და მუსლიმების ინტერესების დაცვისთვის ორგანიზაციამ ბევრი ნაბიჯი გადადგა, რათა თავიდან აეცილებინა გაუთვალისწინებელი ქმედებები და დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ მოუწოდა მსოფლიოს ყველანაირი ფორმით, რაც მათ ხელთაა.

ითო-ს მე-11 გენერალური მდივანი არის დოქტორ იიუსეფ აჰმედ ალ-ოთიემიენი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2016 წლის ნოემბრიდანაა. რაც შეეხება დღევანდელ ქარტიას, რითიც ამჟამად ხელმძღვანელობენ მიიღეს 2008 წლის 13-14 მარტს მე-11 ისლამური სამიტზე, რათა ორგანიზაციის ქმედებები განისაზღვროს დღევანდელობის ანუ 21 საუკუნის შესაბამისად. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები 21 საუკუნეში საკმაოდ ბევრ გამწვევებს აწყდებიან.

2005 წლის ბოლოს დაწყებული ათი წლის სამოქმედო პროგრამა, რომელიც მაკკაში გამართულ ისლამურ სამიტის მესამე რიგგარეშე სამიტზე დაიწყო 2015 წლის ბოლოს შედგა და სრული სახე მიიღო. [28]

რაც შეეხება უახლეს პროგრამას, იგი აქცენტს აკეთებს თვრამეთ პრიორიტეტულ სფეროზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ორგანიზაციის წევრმა

[28] T. Kayaoglu. The Organizacion of Islamic Cooperation: Politics, Problems and Potential. 2015y. pp.147-153

სახელმწიფოებმა. ეს პირველ რიგში, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას უკავშირდება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ასევე ალ-კუდსისა და პალესტინის დაძლევის, სურსათის უვნებლობის, საინვესტიციო და ფინანსების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების და ა.შ.

ბევრი ვისაუბრეთ ამ ორგანიზაციის თავისებურებებზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ეს ორგანიზაცია გამოირჩევა სოლიდარობით, რადგან მასში ხშირია დაპირისპირებები. გამართულ სამიტებსა და შეკრებებში მონარქებისა და პრეზიდენტებსი ღიმილის უკან რეალური მეტოქეობადა პიროვნული ანტიპათიაც კი აქვთ ხოლმე. 1979-1989 წლებში ლიგის წევრობა ეგვიპტეს შეუჩერდა, რადგან მან ისრაელთან დადო სამშვიდობობ შეთანხმება.

2008 წელს ორგანიზაციის წესდების ცვლილებებთან ერთად, წევრმა სახელმწიფოებმა შექმნეს ადამიანის უფლებათა მუდმივი კომიასია, რომელიც არის მრჩეველთა ორგანო, რომელიც შედგება თვრამეტი ადამიანისგან, სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიული ფონისგან.

2017 წლის სექტემბერში ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელმა კომისიამ მკაცრად დაგმო მანანმარში როჰინგის მუსულმანების წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევა.

2018 წლის დეკემბერში, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ სავარაუდოდ დააყენა საკითხი ჩინეთის გადამზადების ბანაკებისა და უიღურის მუსულმანური უმცირესობის წინააღმდეგ ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ. 2019 წლის მარტში, სადამკვირვებლო მისიამ გამოაქვეყნა მოხსენება მაჰმადიანი უმცირესობების შესახებ ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც ადიდებს ჩინეთს „მისი მუსულმანური მოქალაქეების მიმართ ზრუნვის უზრუნველსაყოფად“ და მეტი თანამშრომლობის მიზნით.

რაც შეეხება ისლამური კონფერენციის ორგანიზაციას, ის შეიქმნა 1971 წელს, ქალაქ ჯიდაში (საუდის არაბეთი), მაისის თვეში, უდიდესი ორგანიზაცია და მიზნად ისახავს მუსლიმური ინტერესების დაცვას მთელს მსოფლიოში. ორგანიზაციის წესდება 1972 წლის მარტში საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის მესამე სესიამ მოიწონა, რომელიც შედგა ჯიდაში. იკო რელიგიურ საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციაა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მთავარ როლს სწორედ რელიგია-ისლამი თამშობს. მასში დღესდღეისობით გაერთიანებულია 54 წევრი. მისი წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში ისლამის აღიარება ნაკლებად ხდება. [29]

ისლამური კონფერენციის მიზნებია პირველ რიგში ის, რომ ხელი შეუწყოს ისლამურ სოლიდარობას და მის წევრ სახელმწიფოთა შორის. ასევე განამტკიცოს მაღი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა თანამშრომლობები, მოაწყოს კონსულტაციები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრ-სახელმწიფოებთან და ა.შ.

ორგანიზაციის დაქვემდებარებაშია უგანდისა და ნიგერიის ისლამური უნივერსიტეტები. მისი სამუშაო ენებია არაბული ფრანგული და ინგლისური. მისი მოღვაწეობის ხარჯებს წევრი ქვეყნები ფარავენ ეროვნული შემოსავლების შესაბამისად. იკო ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს მუსლიმურ თემებს, რომლებიც დაზარალდნენ ომებში და ბუნებრივი კატასტროფების დროს.

1980 წლის იანვარში ისლამური წვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციამ საბჭოთა ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა მოითხოვა ავღანეთიდან. ის პალესტინელებს უჭერდა მხარს, ხოლო 1981 წელს ორგანიზაციის სამიტმა გამოაცხადა ჯიჰადი „იერუსალიმის დაოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად“.

[29] „The Organization Of The Islamic Conference: Sharing An Illusion“. p.1. https://mepc.org/journal/organization-islamic-conference-sharing-illusion p.1. (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)

11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, ორგანიზაციამ დაიწყო მისი ძირითადი მისიის გადახედვა გლობალური მაგმადიანური საზოგადოების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების გადასაჭრელად.

2005 წელს კონფერენციამ მიიღო 10 წლიანი გეგმა რომელიც ეხებოდა ტერორიზმს, ისლამოფოგიას, ცუდ მმართველობასა და ეკონომიკურ განსხვავებებს. ისლამური სახელმწიფოების კონფერენციის მრავალი ქვეყანა ფლობს მნიშვნელოვან ძალას. მათ შორის მთავარია ირანი და საუდის არაბეთი-დამფუძნებელი წევრი, კონფერენციის ყველაზე დიდი ფინანსური მონაწილე და ისლამის ორი ყველაზე წმინდა ადგილის მექასა და მედინას დამცველი. პაკისტანი ასევე აქტიურია კონფერენციის ფარგლებში და ორგანიზაციას იყენებს, როგორც პლატფორმას, გაასაჩივროს მისი რეზოლუცია რელიგიური გმობის შესახებ გაეროში. პაკისტანი ასევე გავლენიანი იყო ინდოეთში, რომელსაც მსოფლიო სიდიდით მესამე მუსულმანური მოსახლეობა წარმოადგენს, კონფერეციაზე შესვლის თავიდან ასაცილებლად.

2008 წელს Human Right Watch-მა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალი კრძალავს სამოქალაქო პირებზე თავდასხმებს, არ აქვს მნიშვნელობა გარემოებებს.

2009 წელს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ სუდანის პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირზე გამოცემული დაპატიმრების ორდერის გამო, ომის დანაშაულის გამო, იკო-მ გამოაქვეყნა ძლიერი განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ „შერჩეულია ორმაგი სტანდარტი, რომელიც გამოიყენება ომისა და დანაშაულის საკითხებთან დაკავშირებით კაცობრიობის წინააღმდეგ“. ამავე წლის იკოს დეკლარაციაში ნათქვამია : „ტერორიზმი, რა თქმა უნდა არ არის უსაფრთხოების საკითხი, არამედ იდეოლოგიურია თავისი პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და კულტურული საკითხებით“.

ყველაფერ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა, თუ როგორ შეიძლება 57 წევრის მქონე ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მილიარდობით ადამიანს, დიდი ბუნებრივი რესურსებითა და გლობალური მიწისძვრის

მნიშვნელოვანი წილით, შეძლებს თუ არა იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე ქმნიდა იმპულსს. [30]

[30] N. A. Baba. Organisation of Islamic Conference: Theory and Practice of Pan-Islamic Cooperation. 1994 y. pp.299-304.

დასკვნა

საერთაშორისო ორგანიზაცია „ერთა ლიგა“, ჩართული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის არსებული ტერიტორიული დავების გადაჭრის საქმეში. მართალია ის ზოგჯერ ნაკლებად აქტიური იყო, მაგრამ საერთო ჯამში ორგანიზაციამ ბევრი პრობლემა გადაჭრა რეგიონში. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ გამართულ საზავო მოლაპარაკებებშიც, ლოზანა, მონტრეს კონვენცია და ა. შ. „ერთა ლიგა“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ჩვენი პირველი საკვლევი კითხვის პასუხია ის, რომ „ერთა ლიგის“ დიდი მონდომების შედეგად მოხდა ერაყის ჩამოყალიბებისას, მასში შემავალი ძირითადი სამი პროვინციის დამკვიდრება ამ ქვეყნისათვის. „ერთა ლიგა“ აქტიურად ერეოდა შავი ზღვის სრუტეების პრობლემების გადაჭრაში, მაგრამ მისი ჩართულობა საკმაოდ პასიური აღმოჩნდა სირიისა და თურქეთის ტერიტორიულ პრობლემაში, რომელიც უკავშირდებოდა ალესანდრეტას სანჯაყის ანუ ჰათაი ილის საკითხს. აღნიშნული საკითხი თურქეთმა ძალის გამოყენებით თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. „ერთა ლიგის“ პოზიცია კი ამ საკითხში ნეიტრალური იყო.

„ერთა ლიგის“ შემდეგ „გაერო“ აქტიურად ჩაერთო ახლო აღმოსავლეთის პრობლემატურ საკითხებში, მას შემდეგ რაც ორგანიზაციაში თანდათანობით მოხდა რეგიონის ქვეყნების გაწევრიანება. „გაერო“ აქტიური იყო ისრაელ პალესტინის ტერიტორიული პრობლემის გადაჭრის საქმეში და სწორედ მისი გადაწყვეტილებით მოხდა პალესტინის ტერიტორიის ორად გაყოფა. ეს ორგანიზაცია ასევე ერეოდა ნებისმიერ კონფლიქტში, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოქმნებოდა. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისში- სირია, იემენი, ერაყი და ა.შ. „გაერო“ ყოველთვის აფიქსირებს თავის პოზიციას, დამოკიდებულებას ცალკეული პრობლემატიკის მიმართ და გამოთქვამს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.

ევროკავშირი ნაკლებადა წარმოდგენილი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ამ ორგანიზაციის ასოცირებული წევრია არის თურქეთი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. ეს ქვეყანა დიდი ხნის მანძილზე ისწრაფვოდა ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე. მაგრამ ეს საკითხი თურქეთისათვის ბოლო პერიოდში ნაკლებად აქტუალურია. მიუხედავად თურქეთის აქტიურობისა ეს ქვეყანა ევროკავშირის წევრი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გახდა. უპირველესი მიზეზი ისაა, რომ თურქეთი მუსლიმური ქვეყანაა. ევროკავშირი დაინტერესებულია რეგიონში ახლო აღმოსავლეთში ეკონომიკური აქტიურობით, რასაც მეტნაკლებად ახორციელებს კიდეც.

ჩვენი მეორე საკვლევი კითხვის პასუხია ის, რომ ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დასაყრდენი იყო რეგიონში „ბაღდადის პაქტია“, ხოლო შემდეგ მისი გაგრძელება „სენტო“. აღნიშნული ორგანიზაციის დანიშნულება საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური იდეოლოგიისაგან თავის დაცვა იყო. მასში შემავალ ქვეყნებს ევალებოდათ ერთმანეთის დაცვა საბჭოთა საფრთხისაგან. მიუხედავად ამისა „ბაღდადის პაქტი“ და მისი შემდგომი გაგრძელება „სენტო“ არ წარმოადგენდა ძლიერ სამხედრო პოლიტიკურ ორგანიზაციას. ფაქტობრივად ისინი ფორმალურად არსებობდნენ განსაკუთრებით კი „სენტო“. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ რეგიონში არსებობდა სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ საკითხავია რამდენად აქტუალური და ქმედითუნარიანი ორგანიზაციები იყვნენ როგორც „ბაღდადის პაქტი“ ასევე „სენტო“.

ნატოს ერთადერთი წევრი რეგიონში თურქეთია. ის ორგანიზაციის დამფუძნებელ ქვეყანათა სიაშია და ის ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან ძალიან მალე მისი სრულუფლებიანი წევრი გახდა. თურქეთის წევრობა ნატოში განპირობებული იყო თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეზობლობით. ის აქტიურად იყო და დღესაცაა ჩართული ყველა იმ ოპერაციაში, რომელიც ნატოს ეგიდიდ

ხორციელდება. ერთმანეთისთვის ნატო და თურქეთი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ. მიუხედავად მათი ერთმანეთისადმი კარგი დამოკიდებულებისა, ბოლო რამდენიმე წელია ურთიერთობაში გარკვეული წინააღმდეგობები გაჩნდა. ფაქტი ისაა, რომ ნატოს თურქეთი თავის დასაყრდენ ძალად ჭირდება და ასევე თურქეთისთვისაც ნატო მნიშვნელოვანი მოკავშირეა რეგიონში რუსეთის ფედერაციის მზარდი პოლიტიკური ინტერესებისაგან თავის დასაცავად.

მესამე საკვლევი კითხვის პასუხია ეს საკითხი, რომ ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი მდიდარი რეგიონია ნავთობის საბადოების მხრივ, აქედან გამომდინარე ამ რეგიონის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდებოდა გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, რომელიც დღემდე არ დაუკარგავს. შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაცია ოპეკს, როგორც ახლო აღმოსავლეთის მსხვილი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების, ასევე დანარჩენი მსოფლიოსათვისაც. ოპეკის დამფუძნებელ ქვეყანათა შორის იყო ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ნავთობმომწოვებელი წამყვანი ქვეყანა. ამ ორგანიზაციის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ნავთობის ფასების რეგულირება და მასში შემავალ ქვეყნებზეა დამოკდებული ნავთობის ფასის ზრდა თუ შემცირება. აქედან გამომდინარე ოპეკი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა არა მარტო ახლო აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიოს ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისთვისაც.

ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა, რაზეც მიგვანიშნებს სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული ორგანიზაციების ქმედებები კონფლიქტების დარეგულირებაში, რომელთაც საკმაოდ დიდი პოლიტიკური გავლენა აქვთ. თუმცა ამასთან მათი ძირითადი სამოქმედო სპეციფიკიდან გამომდინარე კიდევ უფრო ეფექტური ზომების მიღების გარეშე ისინი მნიშვნელოვან გარდატეხას ვერ მოახდენენ რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში.

მეოთხე საკვლევი კითხვის პასუხად კონკრეტულად ახლო აღმოსავლეთში, ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა ეს იყო არაბული ქვეყნების ლიგა. ეს ორგანიზაცია, საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა

არაბული ქვენების პრობლემების გადაჭრის საქმეში. არაბული ქვეყნების ლიგამ ბოლო პერიოდში დაკარგა აქტივობა, მაგრამ მისი როლი არაბულ სამყაროზე დღესაც თვალში საცემია.

მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა რეგიონისთვის სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო. აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულად ამ რეგიონის ფარგლებს არ ცდება, რადგან მასში შემავალი ყველა ქვეყანა ახლო აღმოსავლეთის ქვერეგიონის-სპარსეთის ყურის შემადგენელი ნაწილია. ეს საბჭო ერთ-ერთი ქმედითი ორგანიზაციაა რეგიონში, რომელიც ჩართულია არაბული ქვეყნების პრობლემების მოგვარებაში ეს იქნება სირია, ერაყი თუ იემენი.

უმსხვილესი ორგანიზაცია, რომელიც მთლიანად ისლამურ სამყაროს აერთიანებს ეს არის მუსლიმთა მსოფლიო ლიგა. მისი სახელწოებიდან გამომდინარე აღნიშნული ორგანიზაციის უმთავრეს ფუნქციას მთლიანად მსოფლიოს ისლამური ქვეყნების პრობლემატიკის მოგვარებაა. გარდა ამისა აღნიშნულ ორგანიზაციას ევალება ისლამის პროპაგანდა, აგიტაცია და ისლამური ლიტერატურის აქტიურად გავრცელება. ეს არის ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურადაა ჩართული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პრობლემების მოგვარებაში.

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია „ითო“ და ისლამური კონფერენციების ორგანიზაცია „იკო“ ისლამური სამყაროსათვის მნიშვნელოვან ორგანიზაციებს წარმოადგენენ. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართულნი არამატრო ისლამური ქვეყნების პოლიტიკურ საქმიანობაში, არამედ ისინი დაკავებულნი არიან ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტითაც. განსაკუთრებით ეს ეხება ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია „ითოს“, რომელსაც გაეროს შემდეგ ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციად მიიჩნევენ.

აღნიშნული ორგანიზაციები ისლამური სამყაროს წმინდა ქალაქების მქონე ქვეყანაში-საუდის არაბეთში შეიქმნა და ეს ორგანიზაციები დღესაც იქიდან

ხელმძღვანელობენ მთლიანად ისლამურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს. ისინი აქტიურად ერთვებიან ამ პრობლემების გადაწყვეტაში. მაგრამ ამ ორგანიზაციებიდან უფრო აქტიური თავისი ქმედითუნარიანობით, ფინანსებითა და სიდიდით არის ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია „ითო“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია ე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006.
2. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018.
3. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, გამომცემლობა - დიოგენე, თბილისი 2003;
4. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011 (მესამე გამოცემა);
5. გურეშიძე ს. "ისრაელ – პალესტინელი არაბების კონფლიქტის ასახვა ისრაელის და არაბული ქვეყნების პრესაში". თბილისი 2013.
6. მენთეშაშვილი ზ.ახლო და შუა აღმოსავლეთი.თბ.2002წ.
7. ჟღენტი კ.პალესტინა და პალესტინელები. გამომცემლობა- ,,ნაკადული''თბ.1986წ .
8. ღირსიაშვილი რ. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი:ორი ერი, ერთი მიწა. პოლიტიკური კვლევის ცენტრი. 2003წ.
9. ყველაშვილი ა. თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე მიმართულებები, 2013.
10. Almutairi T. M. and Kruckeberg D. Relations in the Gulf Cooperation Council Countries: An Arab Perspective (Routledge New Directions in PR & Communication Research. apr.5. 2019.
11. Baba N. A. Organisation of Islamic Conference: Theory and Practice of Pan-Islamic Cooperation. 1994.
12. Eren N. Turkey. NATO and Europe: a deteriorating relationship?. 1977.
13. Fewer S. The Muslim World League. Saudi Arabia`s Export of Islam, and Opportunities for Washington. November 2019.
14. Garavini G. The Rice and Fall of OPEC in the Twentieth Century Hardcover-September 4, 2019.
15. Hadley G. CENTO – The Forgotton Alliance, Brighton. 1971.
16. Hallwood P. S. Sinclair. OPEC`S Developing Relationships with the Third World. International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944) spring 1982.
17. Kayaoglu T. The Organizacion of Islamic Cooperation: Politics, Problems and Potential. 2015.
18. Kirisci K. Turkey and West. Fault Lines in a Troubled Alliance (Geopolitics in the 21 st Century) Hardcover-Deceber 12, 2017.

19. Lewin E. The inevitable dead end of the Arab-Israel conflict. Cogent Social Sciences 2016.
20. Ramazani R.K. „Iran, CENTO and the Soviet Union“. Free World Forum 2/4. 1960.
21. Telhami SH. The World Through Arab Eyes: Arab Public Opinion and the Reshaping of the Middle East. 29 March. 2015.
22. Yongs R. Europe in the New East: Opportunity or Excusion. Oxford University Press. November 11.2014.

ინტერნეტრესურსები:

23. „ახლო აღმოსავლეთი მსოფლიო პოლიტიკაში“ https://bokagasishvili.wordpress.com (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2020)
24. „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის შექმნა და ერაყის ქურთისტანი“ http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=161596 (უკანასკნელად გადამოწმებულია 10.06.2020)
25. „The Baghdad Pact (1955) and the Central Treaty Organization (CENTO)“. https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/lw/98683.htm (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)
26. „Why Is Turkey in NATO Anyway?“. https://www.theatlantic.com/politics/archive/2019/10/turkey-and-nato-troubled-relationship/599890/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06,2020)
27. ოპეკი-მსოფლიოს მთავარი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორი ქვეყნები. გვ.1. http://intermedia.ge (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)
28. „Gulf Cooperation Council“. https://www.britannica.com/topic/Gulf-Cooperation-Council (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)
29. „Muslim World League“. https://www.britannica.com/topic/Muslim-World-League (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)
30. „Muslim World League“. https://www.arabnews.com/tags/muslim-world-league-mwl (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)
31. „The Organization Of The Islamic Conference: Sharing An Illusion“. https://mepc.org/journal/organization-islamic-conference-sharing-illusion (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.06.2020)
32. „A short introduction to the Baghdad pact-when Britain and Iran were allies“. https://ukdefencejournal.org.uk/a-short-introduction-to-the-baghdad-pact-when-britain-and-iran-were-allies/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.06.2020)